პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУзии и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელი | № 189 (10886) | კვირა, 11 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

მშენებლების დღესასწაული

დღეს მთელ ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში ფართოდ აღინიშნება საბჭოთა მშენებლების დღესასწაული — მშენებლის დღე. საბჭოთა ადამიანები ამაყობენ მშენებლობაში თავიანთი მიღწევებით, მშენებელთა დიდი არმიის შრომითი გმირობითა და თავდადებით.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არა ჰყავს მშენებელთა ისეთი ძლიერი, ისეთი სახელოვანი არმია, როგორიც ჩვენს ქვეყანას, საბჭოთა ხალხს. ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში მშენებლობის ტემპი ყოველწლიურად სწრაფად იზრდება. თუ პირველ ხუთწლედში 52,1 მილიარდი მანეთის სამშენებლო სამუშაოები შესრულდა, ომისშემდგომ მეოთხე ხუთწლედში მშენებლობის მასშტაბი ერთიოთხად გაფართოვდა და ამ საქმეზე დაიხარჯა 208,2 მილიარდი მანეთი, მეხუთე ხუთწლედში ეს თანხა 394,2 მილიარდ მანეთამდე ავიდა, ხოლო მეექვსე ხუთწლედისათვის, როგორც ცნობილია, მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა თანხა განსაზღვრულია 990 მილიარდი მანეთით.

თავიანთი თავდადებული შრომით ჩვენმა მშენებლებმა საყოველთაო-სახალხო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს.

წელს მშენებლები თავიანთ დღესასწაულს განსაკუთრებულ ვითარებაში აღნიშნავენ. ეს ვითარება ხასიათდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი საყოველთაო-სახალხო შრომითი ლაშქრობით, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალ ორგანიზაციულ ფორმებზე გადასვლით და „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლის გაჩაღებით.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილება კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა იმ დიდი ზრუნვისა, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ საბჭოთა ადამიანებისადმი.

მშენებლებს და მშენებლობის საკითხებს პარტია და მთავრობა ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. სავსებით კანონზომიერი იყო, რომ ბოლო დრომდე ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო მშენებლობის ტემპი წინ უსწრებდა საბინაო მშენებლობის ტემპს. საჭირო იყო შეგვექმნა მძიმე ინდუსტრია და მის ბაზაზე უზრუნველგვეყო სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის სწრაფი განვითარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მიგვეღწია მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული განვითარების დონის ამაღლებისათვის. ახლა ჩვენს სახელმწიფოს უკვე აქვს იმის საშუალებები და რესურსები, რომ გადაწყვიტოს საბინაო ფონდის მკვეთრად გაფართოების საკითხი, ბოლო მოუღოს ჩვენს ქვეყანაში ბინების ნაკლებობას. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით მშენებლობის ხელმძღვანელობის ორგანიზაცია სპობს უწყებრივ ბარიერებს, უზრუნველყოფს სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა და ბინათმშენებლობის ორგანიზაციათა გამართულად მუშაობის შესაძლებლობას.

პარტიისა და მთავრობის ამ ახალი დადგენილების პირნათლად შესრულებისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჩვენს რესპუბლიკაში მომუშავე ბინათმშენებლებს. მათი მთავარი და გადაუდებელი ამოცანაა ფართოდ გამოიყენონ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები, გადავიდნენ საცხოვრებელი სახლების მსხვილი ბლოკებით, რკინაბეტონის კონსტრუქციებითა და პანელებით მშენებლობაზე, მშენებლობა აწარმოონ მხოლოდ ტიპური პროექტების მიხედვით, საქარნო წესით დამზადებული სამშენებლო დეტალებით.

მშენებლებთან ერთად განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამშენებლო ინდუსტრიის, საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებს. გასაგებია, რომ საბინაო მშენებლობის წარმატების აუცილებელი წინაპირობაა ინდუსტრიული ბაზის გამართული მუშაობა.

ახლა მთავარი ყურადღება უნდა მივმართოთ იქითკენ, რომ საბინაო მშენებლობა ვაწარმოოთ უმთავრესად ინდუსტრიული მეთოდებით, მშენებლობის ჩვეულებრივი ძველი მეთოდი, აგურის ცალობით წყობა თანდათან შევცვალოთ მსხვილი ბლოკების წყობით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებული საბინაო მშენებლობის ფართო პროგრამის განხორციელება დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა. საბჭოთა, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საბინაო მშენებლობის გეგმების უკეთ შესრულებისათვის, მისი ღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ეჭვი არ არის, სახელოვანი საბჭოთა მშენებლები, მათი ხელმძღვანელი პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ახალი შრომითი მიღწევებით უპასუხებენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდებას და უახლოეს წლებში აღმოფხვრიან ჩვენს ქვეყანაში ბინების ნაკლებობას.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ლაიპციგი, 9 აგვისტო. (**საკდესის სპეც. კორ.**). დღევანდელი დღე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ა. ა. გრომიკომ, ვ. ვ. გრიშინმა, ვ. ე. სემიჩასტნიმ და გ. მ. პუშკინმა ქალაქ ლაიპციგში გაატარეს.

ეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული, სავაჭრო და კულტურული ცენტრია.

ლაიპციგის მშრომელებმა გულთბილად, ძმურად მიიღეს საბჭოთა სტუმრები. ქალაქი სადღესასწაულოდ არის მორთული. ყველგან მოჩანს ალმები, ყვავილები, ტრანსპარანტები მისასალმებელი სიტყვებით საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მიმართ, ლოზუნგები, რომლებიც მოუწოდებენ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისაკენ.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ — ამ სიტყვებს იმეორებს დღეს ქალაქის ათასობით მოქალაქე.

დღეს საბჭოთა დელეგაციის წევრებმა ქალაქის გაცნობა დაიწყეს იმით, რომ დაათვალიერეს სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც ლაიპციგის ლამაზ გარეუბან მარკლებერგში მდიბარეობს. გამოფენის 60 პავილიონში და ღია მოედნებზე თავიანთ მიღწევებს უჩვენებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გლეხები. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ორი საათის განმავლობაში ეცნობოდნენ გამოფენას. გამოფენის გაცნობა დაიწყო სასოფლო-სამეურნეო მანქანების განყოფილების დათვალიერებით. აქ ამხანაგ ხრუშჩოვსა და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სხვა წევრებს, რომლებიც მოვიდნენ ამხანაგ ულბრიხტთან ერთად, შეხვდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ე. მიუკენბერგერი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. შოლცი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები.

ნ. ს. ხრუშჩოვი გაცხოველებით ესაუბრა გამოფენის მუშაკებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შექმნისა და გამოყენების ბევრ კონკრეტულ საკითხზე, სიმინდის თესვის, პროდუქტიული პირუტყვის მოშენების საკითხებზე. გამოფენის მუშაკებმა ამხანაგ ხრუშჩოვს მიართვეს გამოფენაზე გაზრდილი ვარდები, აგრეთვე წიგნი დოკუმენტებით ხუთი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ, რომლებიც მარკლებერგში მოეწყო.

გამოფენის დათვალიერება, რომელიც ორ საათს გაგრძელდა, დამთავრებულია. ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად გამოეთხოვა გამოფენის დირექტორსა და სხვა პირებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან დელეგაცია გაემგზავრა კიროვის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანაში. ქარხნის შესასვლელთან ჩამწკრივებულია ქარხნის მუშათა რაზმი. მისი მეთაური ამხანაგი ჰაუგი პატაკს აძლევს ნ. ს. ხრუშჩოვს. შეკრებილი მუშები მიესალმებიან საბჭოთა სტუმრებს.

ამხანაგი ხრუშჩოვი მექანიკურ საამქროში მიდის ძველ მუშასთან მბურღავ კარლ კემპტერთან, რომელიც 50 წელიწადია მუშაობს ქარხანაში. ამხანაგი ხრუშჩოვი მაგრად ართმევს ხელს ამხანაგ კემპტერს. „რამდენი რკინა გახარით უკვე! ალბათ, უფრო მეტი, ვიდრე ბური“, „დიახ, ამხანაგო ხრუშჩოვ, უპასუხებს კარლ კემპტერი. ჩემს ცხოვრებაში გამიბურღავს იმდენი ნახვრეტი, რამდენიც ვარსკვლავია ცაზე!“.

დაათვალიერეს რა სხვა საამქროები, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა ისადილეს პარტიული კომიტეტის, ქარხნის ადმინისტრაციის, პარტიის დელეგატებთან, ქარხნის [illegible] ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

დღის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს „ისკრის“ სტამბის მუზეუმი. მუზეუმი მოწყობილია იმ სახლში, რომელშიც იყო გერმან რაუს კერძო სტამბა, სადაც დაიბეჭდა გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომერი. შემდეგ დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს „ხალხთა ბრძოლის“ ძეგლი, აგებული მოკავშირეთა ჯარების მიერ ნაპოლეონის არმიის განადგურების აღსანიშნავად. საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები შემდეგ იყვნენ ვ. ი. ლენინის მუზეუმში, დაათვალიერეს გ. დიმიტროვის მუზეუმი.

საღამოს ლაიპციგის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს ლაიპციგის მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

როსტოკის ოლქის მშრომელნი გულითადად მიესალმებიან საბჭოთა სტუმრებს

შტრალზუნდი, 9 აგვისტო. (**საკდესის სპეც. კორ.**). სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ჯგუფი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ი. მიქოიანის, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის პ. ნ. კუმიკინის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივნის ი. ვ. სპირიდონოვის, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ზ. ვ. მირონოვას შემადგენლობით მოგზაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილოეთ რაიონებში.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ამ ჯგუფთან ერთად მოგზაურობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ო. გროტევოლი.

ცნობას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ჯგუფი ა. ი. მიქოიანის მეთაურობით ჩამოვა როსტოკის ოლქში, მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა.

...დილის 8 საათია ადგილობრივი დროით. ბერლინიდან მომავალი სპეციალური მატარებელი მივიდა ქალაქ ზასნიცში, რომელიც კუნძულ რიუგენის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ვაგონებიდან გამოდიან ა. ი. მიქოიანი, ო. გროტევოლი, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები. ვაგზლის ბაქანზე მათ გულითადად მიესალმნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კვების მრეწველობის მინისტრი კ. ვესტფალი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის როსტოკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი კარლ მევისი, როსტოკის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ჰანს ვარნკე, ოლქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ყველანი გამოდიან ვაგზლის მოედანზე, რომელიც ხალხით არის გაჭედილი. იწყება ოვაცია, გაისმის შეძახილები: „მეგობრობა!“ „მეგობრობა!“. გერმანელ პიონერთა ჯგუფმა მიირბინა პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებთან და ყვავილების თაიგულები მიუძღვნა მათ. ერთ-ერთი გოგონა მიესალმა ა. ი. მიქოიანს, გადასცა ვარდების თაიგული და გაუკეთა პიონერის ლურჯი ყელსახვევი.

— დიდი მადლობა, — ამბობს ამხანაგი ა. ი. მიქოიანი და მაგრად ართმევს ხელს გოგონას.

მისალმების შეძახილებსა და ტაშის გრიალში სტუმრები სხდებიან მანქანებში და მიდიან ძვირფასი სტუმრების შესახვედრად გამოსული მცხოვრებლების მიერ გაკეთებული ცოცხალი კორიდორით.

ავტომანქანების კოლონა გაემართა თევზის კომბინატისაკენ. აქ სტუმრებს შეხვდა და დათვალიერების დროს ახსნა-განმარტებას აძლევდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ორგანიზაციის მდივანი ა. იუნგე. მან უამბო, რომ კომბინატი შედგება ორი საწარმოსაგან — თევზსაჭერი და თევზგადამამუშავებელი საწარმოებისაგან; სულ კომბინატში 3.000-მდე კაცი მუშაობს. ყინულის წარმოების საამქროში ოსტატმა იოჰანეს გრელმა დელეგაციის წევრებს უამბო წარმატებით მუშაობაზე და იმ ვალდებულებებზე, რომლებიც საამქროს მუშებმა იუსრეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.

მეორე საამქროში ა. ი. მიქოიანს გულითადად მიესალმა ახალგაზრდა ჩინელი მუშების ჯგუფი შანხაიდან, რომლებიც აქ ემზადებიან იმისათვის, რომ ოსტატები გახდნენ.

ამხანაგი ა. ი. მიქოიანი და დელეგაციის სხვა წევრები დაწვრილებით გაეცნენ თევზკომბინატის მუშაობას, გულთბილად ესაუბრნენ მუშებს.

დათვალიერების დამთავრების შემდეგ კომბინატში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ა. ი. მიქოიანმა. მას არაერთხელ აწყვეტინებდნენ სიტყვას მქუხარე ტაშით.

შემდეგ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ამხ. ო. გროტევოლთან და მათ თანმხლებ პირებთან ერთად ავტომანქანებით გაემგზავრნენ ქალაქ შტრალზუნდში, სადაც დაათვალიერეს გემთსაშენებლო ვერფი „ფოლკსვერფტი“. საბჭოთა სტუმრების ჩამოსვლის მომენტისათვის ვერფის ტერიტორიაზე შეიკრიბა ამ სახალხო საწარმოს მთელი კოლექტივი. აღფრთოვანებული შეხვედრისა და მისალმებების შემდეგ დაიწყო ვერფის დათვალიერება. ვერფის დირექტორმა ა. ტეშნერმა სტუმრებს უამბო ამ საწარმოს აღდგენისა და განვითარების შესახებ სახალხო ხელისუფლების წლებში.

შემდეგ გაიმართა ახლახან აგებული გემის „ოკეანის“ წყალში ჩაშვების საზეიმო ცერემონია.

ნაშუადღევს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებმა ამხ. ა. ი. მიქოიანის მეთაურობით მონაწილეობა მიიღეს შტრალზუნდის მშრომელთა მიტინგში. კარგა ხნით ადრე, სანამ მიტინგი დაიწყებოდა, ალტერ-მარქტის მოედანზე ქალაქის ყველა კუთხიდან მოვიდნენ მშრომელთა კოლონები. მათ მოაქვთ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წითელი დროშები, ტრანსპარანტები და ლოზუნგები, რომლებიც მოუწოდებენ — ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ ურღვევი მეგობრობა გერმანელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის, მოაქვთ ყვავილები, ალმები.

შეკრებილნი მქუხარე ოვაციითა და მისალმების შეძახილებით შეხვდნენ ამხანაგებს ა. ი. მიქოიანს, ო. გროტევოლს, პ. ნ. კუმიკინს, ი. ვ. სპირიდონოვს, ზ. ვ. მირონოვას და მათ თანმხლებ პირებს, რომელნიც ტრიბუნაზე გამოჩნდნენ. მთელ მოედანს მოეფინა მისალმების სიტყვები: „მეგობრობა!“, „ფროინდშაფტ!“.

ისმის შეძახილები: „ჩვენს საბჭოთა მეგობრებს ვაშა! ვაშა! ვაშა!“

მიტინგი გახსნა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის კომიტეტის თავმჯდომარემ გერჰარდ შტაინჰოფმა და სიტყვა მისცა ამხანაგ ა. ი. მიქოიანს.

ამხანაგ მიქოიანის სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა მქუხარე ტაში. ამ სიტყვის დასასრულს დაბსწრენი ახალი ძლიერი ოვაციითა და მისალმებებით შეხვდნენ. შემდეგ მიტინგზე გამოვიდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის შტრალზუნდის რაიონული ორგანიზაციის პირველი მდივანი ჰაინც ჰილი.

მიტინგი დამთავრდა. ა. ი. მიქოიანი, ო. გროტევოლი, პ. ნ. კუმიკინი, ი. ვ. სპირიდონოვი ავტომანქანებით წავიდნენ ტრინვილერსჰაგენში სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივ „წითელ დროშაში“, რომელიც როსტოკის გზაზე მდებარეობს. მიტინგის მონაწილეებმა ისინი ტაშით გააცილეს. საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს კოოპერატივი, გაეცნენ სოფლის მეურნეობის წარმატებებს, ესაუბრნენ გლეხებს.

ამავე დროს საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრი მოსკოვის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ვ. მირონოვა შეხვდა საქალაქო საბჭოს წარმომადგენლებს შტრალზუნდში. შეხვედრის დროს განიხილეს საქალაქო მშენებლობის საკითხები. შეხვედრის მონაწილეებმა გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს.

დღეს საღამოს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრთა ჯგუფი ა. ი. მიქოიანის მეთაურობით ვარნემიუნდეში ჩავიდა.

დეპეშა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

მადლობას მოგახსენებთ თქვენი მოლოცვის დეპეშისათვის, რომელიც გამოგზავნეთ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 30-ე წლისთავის გამო.

ჩინელ ხალხსა და ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას საბჭოთა ხალხი და საბჭოთა არმია მუდამ მიაჩნდათ და მიაჩნიათ დიად ნიმუშად სოციალისტური მშენებლობის დაცვისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. ჩინელი ხალხი და ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია კვლავაც განაგრძობენ საბჭოთა კავშირის მოწინავე გამოცდილების გულმოდგინე შესწავლას, საბჭოთა ხალხთან და საბჭოთა არმიასთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებას და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის კეთილშობილური საქმისათვის ბრძოლას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე
მაო ძე-დუნი

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი

1957 წლის 7 აგვისტო, ქ. პეკინი.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ გ. კ. ჟუკოვს

სულითა და გულით მადლობას გიძღვნით მოლოცვისათვის, რომელიც თქვენ გამოგზავნეთ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის დაარსების 30-ე წლისთავის წინადღეს.

ამ დღესასწაულის დღეს, როცა ჩვენ ვიგონებთ მიღწევებს ჩვენი შეიარაღებული ძალების მშენებლობის საქმეში, კიდევ უფრო მადლობელი ვართ იმ დიადი დახმარებისათვის, რომელსაც ჩვენს არმიას უწევს საბჭოთა კავშირი, კიდევ უფრო დავაფასებთ იმ დიდ შეგობრობას, რომელიც არსებობს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს შორის.

ძვირფასო სალამათ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მარშალი პინ დე-ხუაი

1957 წლის 2 აგვისტო, ქ. პეკინი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მოწინავე მშენებელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

„მშენებლის დღესთან“ დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ მოწინავე მშენებლები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ასანიძე** გიორგი სპირიდონის-ძე — ტრესტ „ამიერკავკასიისმეტალურგმშენის“ მებეტონე.
2. **ბადრიშვილი** ბიძინა ალექსანდრეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მეარმატურეთა ბრიგადირი.
3. **ბაქრაძე** ნიკოლოზ ივანეს-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგოშენის“ მესკრეპერე.
4. **ბალანჩივაძე** ნინო ვარლამის ასული — ტრესტ „საქჰიდროენერგოშენის“ უფროსი ოსტატი.
5. **ბურციკაძე** გიორგი იოსების-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის დურგალი.
6. **გაგუა** პეტრე სოფრომის-ძე — ტრესტ „საქმრეწვმშენმონტაჟის“ ავტომანქანის მძღოლი.
7. **გიორგაძე** რაჟდენ კალისტრატეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის შემდუღებელი.
8. **გიგაური** ვასილ კონსტანტინეს-ძე—ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ ელექტრომონტიორი.
9. **გორელოვი** ვასილ ნიკოლოზის-ძე—ტრესტ „ამიერკავკასიისტრანსმშენის“ გზის ინჟინერი.
10. **გრიგოლაშვილი** ოთარ გრიგოლის-ძე — ტრესტ „ამიერკავკასიისტრანსმშენის“ გზის გამყვანი.
11. **ემუხვარი** ნოდარ დიმიტრის-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგოშენის“ უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
12. **ეფხოშვილი** სტეფანე ალექსის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 27 საგზაო-საექსპლოატაციო უბნის ქვესმთელელი.
13. **ესიპენკო** როდიონ გრიგოლის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის დურგალი.
14. **ვასინი** ივანე არქიპოს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის მებეტონე.
15. **ვაჩიბერიძე** გივი კაპიტონის-ძე — ტრესტ „საქჰიდროენერგოშენის“ ელექტროხაზის გამყვანთა ბრიგადირი.
16. **ზარიძე** ეთერ ივანეს ასული — ტრესტ „საქჰიდროენერგოშენის“ ბეტონის ქარხნის მოტორისტი.
17. **თათვიძე** კონსტანტინე პორფილეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის ხურო.
18. **კარიბოვი** ივანე ლაზარეს-ძე — ტრესტ „საქმრეწვმონტაჟის“ მებეტონეთა ბრიგადირი.
19. **კბილაშვილი** გიორგი მირონის-ძე—ტრესტ „საქენერგოშენის“ ავტომანქანის მძღოლი.
20. **კეცბა** ჯორბუ რაშიდის-ძე — ტრესტ „საქსახშენის“ ელექტრომონტიორი.
21. **კილაძე** მიხეილ ალექსის-ძე — ტრესტ „საქშახტმშენის“ მებათქაშეთა ბრიგადირი.
22. **კისიშვილი** ვიქტორ ვასილის-ძე—„თბილმშენის“ მთავარი სამმართველოს მებეტონე.
23. **კვიჩიძე** გივი ვლადიმერის-ძე — „თბილმშენის“ მთავარი სამმართველოს უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.
24. **კურორჩკინი** ვიქტორ მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის ქვისმთელელი.
25. **კუპრეიშვილი** გივი ირაკლის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 4 სამშენებლო სამმართველოს უფროსი.
26. **კოვალიოვი** გიორგი კირილეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის ზეინკალი.
27. **კუჭუხიძე** გივი ვლადიმერის-ძე — ტრესტ „საქენერგოშენის“ ლაჯანურის ჰესის მშენებლობის გვირაბის უბნის უფროსი.
28. **კუცია** ალექსანდრე გიორგის-ძე — ტრესტ „საქშახტმშენის“ ხურო.
29. **მამედოვი** მამედ ალეკპერის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის ზეინკალთა ბრიგადირი.
30. **მარჩენკო** გრიგოლ ილიას-ძე — „თბილმშენის“ მთავარი სამმართველოს ხუროთა ბრიგადირი.
31. **მელაძე** ვახტანგ ისაკის-ძე — ტრესტ „ამიერკავკასიისმეტალურგმშენის“ მემოზაიკე.
32. **მელია** მიხეილ სიმონის-ძე — „თბილქალაქპროექტის“ მთავარი არქიტექტორი.
33. **ნასარიძე** ვლადიმერ დავითის-ძე — „საქსახპროექტის“ დამპროექტებელი ინსტიტუტის არქიტექტორი.
34. **ომიაძე** აკაკი გაბრიელის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 1 საგზაო მანქანების საგზურის დირექტორი.
35. **რევიშვილი** სოლომონ იოსების-ძე — საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო დამპროექტებელი ინსტიტუტის ტიპობრივი დაპროექტების განყოფილების უფროსი.
36. **რუსიშვილი** ზაქარია ზაქარიას-ძე—ტრესტ „ამიერკავკასიისმეტალურგმშენის“ ექსკავატორის მემანქანე.
37. **სელეზნიოვი** ალექსანდრე ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მებათქაშე.
38. **სტარეევსკაია** ევგენია მიხეილის ასული—„თბილმშენის“ მთავარი სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი.
39. **სულამანიძე** დავით სამსონის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მეარმატურე.
40. **ტრეტიაკოვი** ვასილ ტიმოთეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის მეთუნუქეთა ბრიგადირი.
41. **ფალავა** ალექსანდრე ნესტორის-ძე — ტრესტ „საქსოფლელექტრომშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის დირექტორი.
42. **ფეტისოვი** პეტრე ალექსის-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს № 4 საგზაო-სამშენებლო რაიონის ტრაქტორისტი.
43. **შიოშვილი** ვლადიმერ სერგის-ძე—ტრესტ „საქმრეწვმშენმონტაჟის“ ელექტრომონტიორი.
44. **შჰედრინი** ანდრია ნიკოლოზის-ძე — „თბილმშენის“ მთავარი სამმართველოს მღებავთა ბრიგადირი.
45. **ჩაბიჩაძე** ეუტა ნიკოლოზის-ძე — ტრესტ „ამიერკავკასიისმეტალურგმშენის“ უბნის უფროსი.
46. **ჩიბურდანიძე** ვლადიმერ იაკობის-ძე — „თბილმშენის“ მთავარი სამმართველოს მსხვილი ბლოკების მემონტაჟე.
47. **ცაცალოვი** ნიკოლოზ ხარლამპის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მებათქაშე.
48. **ცეცაძე** ისმაილ მიხეილის-ძე — ტრესტ „ამიერკავკასიისტრანსმშენის“ სამუშაოთა მწარმოებელი.
49. **წიკლაური** აბრამ ივანეს-ძე — ტრესტ „საქენერგოშენის“ ელექტრომონტიორი.
50. **ხახუტაშვილი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე — „გიპროსელელექტროს“ საქართველოს ფილიალის ინჟინერ-ელექტრიკოსი.
51. **ხოფერია** ზაურ ტერენტის-ძე — „თბილმშენის“ მთავარი სამმართველოს ხურო.
52. **კრასნორუჟეევი** ნიკოლოზ ნიკანორის-ძე— ტრესტ „საქჰიდროელექტრომშენის“ მებათქაშე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1957 წლის 10 აგვისტო.

ლაპარაკობენ მშენებლები

ვიმუშავებთ ხვალ უკეთესად. ვიღრე ღღეს

უკვე ხუთი წელია, რაც რუსთავში ვმუშაობ მებეტონედ. ამ ხნის განმავლობაში მრავალი სახლის მშენებლობაში მომიღია მონაწილეობა. ამიტომ ჩემთვის ადვილი შესამჩნევია ის ცვლილებები, რომლებიც მშენებლობის მეთოდებში მოხდა. ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ სრულებით არ ვიყენებდით მშენებლობის ინდუსტრიულ მეთოდებს, რკინაბეტონის ასაწყობ კონსტრუქციებს. ახლა კი რუსთავში შენობათა დიდი ნაწილი, როგორც წესი, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებით და მსხვილი ბლოკებით შენდება.

ამჟამად მებეტონეთა ჩემი რგოლი მუშაობს მრავალსართულიანი შენობების სახურავების დასაყენებლად საჭირო რკინაბეტონის სახსვენე ფერმების დამზადებაზე. ასეთი ფერმები პირველად ჩვენს რესპუბლიკაში გამოყენებულ იქნა რუსთავის მარჯვენა ნაწილის მესამეცე კვარტალის მშენებლობაზე და უდიდესი ეფექტი მოგვცა. მაგალითად, ერთი სამსართულიანი სახლის გადახურვა რკინაბეტონის ფერმების გამოყენებით მშენებლებმა ორ დღეში დამთავრეს. წინათ კი მათ ასეთი სამუშაოს შესასრულებლად ხულ ცოტა ათი დღე დასჭირდებოდათ. ჩვენი რგოლის წევრებმა გადავწყვიტეთ კიდევ უფრო გავადიდოთ სახსვენე ფერმების გამოშვება და ყველა საცხოვრებელი სახლის მშენებლები მოვამარაგოთ ასეთი ფერმებით.

ა. ბადუაშვილი,
რუსთავის მესამეცე კვარტალის მშენებლობის მებეტონეთა მერგოლური.

76 კაცის სახელით



თბილისის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის საყალიბო საამქროში 76 კაცი ვმუშაობთ და ყოველთვიურად გადაჭარბებით ვასრულებთ საკედლე ბლოკების, კიბის ნაწილების, სხვადასხვა დანიშნულების ფილების, კოლონადების აგრეთვე ბევრი სხვა სამშენებლო კონსტრუქციებისა და დეტალების გამოშვების გეგმას.

საამქროს საპროექტო სიმძლავრე უკვე ავითვისეთ. საბინაო მშენებლობის გაფართოების შესახებ პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილების პასუხად ჩვენი საამქროს კოლექტივმა იკისრა კიდევ უფრო გაადიდოს სამშენებლო დეტალების გამოშვება და მშენებლებს ყოველდღიურად მიხცეს არა 1.800-1.900 კუბ. მეტრი დეტალები, როგორც ახლანდელი გეგმით არის გათვალისწინებული, არამედ სულ ცოტა 3.000 კუბ. მეტრი. ამ დაპირებას უთუოდ შევასრულებთ, ბინათმშენებლებს მზარდი როდენობით მივცემთ რკინაბეტონის სამშენებლო დეტალებს.

თ. გუდაძე,
თბილისის რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის საყალიბე საამქროს უფროსი.

შენიშვნები ზოგ მოსაწესრიგებელ საკითხზე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1955 წლის სექტემბერს გამოქვეყნებული ბრძანებულებით აგვისტოს მეორე კვირადღე დააწესა მშენებლის დღედ, საბჭოთა მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკების დღესასწაულად. მადლიერი საბჭოთა ხალხი წელს მეორედ აღნიშნავს ამ დღეს, აჯამებს მშენებლობის დარგში მიღწეულ წარმატებებს, ავლინებს გაწეული მუშაობისას დაშვებულ ნაკლოვანებებს და სახავს ღონისძიებებს მათს გამოსასწორებლად, ახალ დიდ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

წელს მშენებლის დღის აღნიშვნა საბჭოთა ხალხს უხდება იმ დროს, როცა მშენებელთა მრავალრიცხოვანი არმიის წინაშე დასახულია უაღრესად პასუხსაგები საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობის ამოცანა, სამუშაოთა უმაგალითო პროგრამა — მიაღწიონ საბინაო მშენებლობის განვითარებას ისეთ დონემდე, რომ უახლოეს 10-12 წელიწადში ბოლო მოეღოს ჩვენს ქვეყანაში ბინების ნაკლებობას. მშენებელი მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების, საშენ მასალათა მრეწველობის კოლექტივების, დამპროექტებლების ვალია მთელი თავიანთი შემოქმედებითი ძალა მიმართონ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისაკენ, პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული საბინაო მშენებლობის გაფართოების პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად.

ცნობილია, რომ საბინაო მშენებლობა ჩვენში ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის მოთხოვნილებას, სამრეწველო მშენებლობის ტემპი ბოლო დრომდე წინ უსწრებდა ბინათმშენებლობის ტემპს. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში, როგორც ეს აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ", უკვე შექმნილია ხელსაყრელი პირობები საბინაო მშენებლობის ახალი აღმავლობისათვის, ბინების ნაკლებობის აღმოფხვრისათვის.

პარტია და მთავრობა ამჟამად აყენებენ საკითხს არა მარტო იმის შესახებ, რომ გავაფართოოთ საბინაო მშენებლობის მასშტაბი, ვაშენოთ ბევრი საცხოვრებელი სახლი, არამედ ამასთან მოგვიწოდებენ ვაშენოთ სწრაფად, მაღალხარისხოვნად. საბინაო მშენებლობაში სახელმწიფო უამრავ თანხებს აბანდებს. მარტო მიმდინარე მეექვსე ხუთწლედში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი საბინაო მშენებლობაში მეხუთე ხუთწლედთან შედარებით 78 მილიარდი მანეთით დიდდება. სახელმწიფო ასეთ თანხებს ხარჯავს იმიტომ, რომ მშრომელები საშვილიშვილოდ უზრუნველყოს მკვიდრად ნაგები, კეთილმოწყობილი კაპიტალური ბინებით. მშენებლები მოვალენი არიან ეს თანხები მოფიქრებულად, მომჭირნეობით გამოიყენონ, არ დაუშვან გაუმართლებელი ზედმეტობანი მშენებლობაში, რაციონალურად მოაწყონ შრომა, სამშენებლო ტექნიკისა და საშენი მასალების გამოყენება.

1956-1960 წლებში საქართველოს ქალაქებში, მუშათა დაბებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სატყეო-სამრეწველო მეურნეობებში უნდა აშენდეს 4 მილიონი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. აქედან 2,1 მილიონი კვ. მეტრი უნდა აშენდეს სახელმწიფო საბინაო მშენებლობის ხაზით, ხოლო 1,9 მილიონი კვ. მეტრი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხაზით. ამ დიდი სამშენებლო პროგრამის შესასრულებლად საჭიროა გულდასმით მომზადება, მშენებელთა პრაქტიკაში არსებული ყველა ნაკლის აღმოფხვრა, საჭიროა მთელ რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება.

ერთ-ერთი ნაკლი, რაც ჩვენი რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობას ახასიათებს, არის სამშენებლო საქმის დაბალი კულტურა და სუსტი ორგანიზებულობა. საქართველოში უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, საჭიროა მოვთხოვოთ მშენებლებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, დამპროექტებლებს, სამშენებლო საქმის ყველა პროფესიის წარმომადგენლებს გაუმჯობესონ სამშენებლო სამუშაოთა შესრულების მეთოდიკა. დანერგონ ბინათმშენებლობაში ახალი ტექნიკა და მუშაობის გაუმჯობესებული ხერხები. რესპუბლიკაში უკვე შექმნილია მშენებლობის სამინისტრო, რომელსაც დაკისრებული აქვს საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მშენებლობის წარმოება მთელ საქართველოში გარდა თბილისისა, სადაც შექმნილია ადგილობრივი დიდი სამშენებლო ორგანიზაცია — მთავართბილმშენი.

სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილებისა და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში გაერთიანების შედეგად სამშენებლო ორგანიზაციებმა უკეთესად იწყეს მუშაობა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში წარმატებით შეასრულეს სამშენებლო პროგრამები. საერთოდ ამ სამინისტროში შემავალმა სამშენებლო ორგანიზაციებმა წლის პირველი ნახევრის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები 110,8 პროცენტით შეასრულეს. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის, საქართველოს სასურსათო მშენებლობისა და მონტაჟის ტრესტების კოლექტივებმა. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში გაერთიანებულმა სამშენებლო ორგანიზაციებმა წლის პირველ ნახევარში საექსპლოატაციოდ გადასცეს 30.517 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

შესამჩნევად გააძლიერა საბინაო მშენებლობის ტემპი მთავართბილმშენმა, რომელსაც დიდი ორგანიზაციული მუშაობის გაწევა უხდება იმისათვის, რომ წინ წამოსწიოს ზოგი ჩამორჩენილი უბანი, გააფართოოს და გააძლიერფს უწინარეს ყოვლისა სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები.

მტკიცება აღარ არის საჭირო იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად ხელსაყრელია როგორც ეკონომიკის, ისე სისწრაფის თვალსაზრისით საბინაო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის განხორციელება, რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების, სატიხრე ფილების, სასართულთაშორისო გადასახურავი პანელების გამოყენება. თბილისში მსხვილი ბლოკებით სახლების მშენებლები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ინდუსტრიული მეთოდით მშენებლობა არა მარტო აჩქარებს საქმეს, არამედ ამასთან ამცირებს მშენებლობის ღირებულებას, გვაძლევს ხე-ტყის მასალისა და ლითონის დიდ ეკონომიას.

უკვე გამოჩნდნენ ინდუსტრიული მეთოდებით მშენებლობის საუკეთესო ოსტატები, რომლებიც ნოვატორული შრომის საუკეთესო ნიმუშებს გვაძლევენ. ასეთები არიან თბილისელი მემონტაჟეები ვ. ჩიბურდანიძე და ვ. კოროტკოვი, რომლებიც მსხვილბლოკებიანი სახლების აწყობაზე მუშაობენ, დურგალი ვ. ჭელიძე, ინჟინერი გ. გიორგაძე, საკედლე ბლოკების მკეთებელი ე. მჭედლიშვილი და სხვ. უთუოდ საჭიროა ადგილობრივმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ენერგიულად მოჰკიდონ ხელი მათი გამოცდილების გავრცელებას, მუშაობის ხერხების პოპულარიზაციას.

მშენებლის დღეს სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ერთხელ კიდევ უნდა გადაავლონ კრიტიკული თვალი მათ მიერ გაწეულ მუშაობას, დასახონ ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ აღნიშნულია, რომ საშენ მასალათა ნაკლებობა ბევრად ანელებს ქალაქად და სოფლად საბინაო მშენებლობის ტემპს. საქართველოში ყოველი რაიონი, ყოველი სოფელი მდიდარია ადგილობრივი საშენი მასალებით. ბევრგან შეიძლება მოეწყოს აგურის, საშენი ქვის, კრამიტის, კირის. მთელი რიგი სხვა საშენი მასალების წარმოება. საჭიროა ინიციატივის გამოჩენა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარება.

მშენებლობაში ხარისხობრივ მაჩვენებლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ნედლი ხე-ტყის გამოყენება საფანჯრე ჩარჩოებისა და იატაკებისათვის დანაშაულია, უწვავი აგურის გამოშვება, რასაც აქა-იქ კიდევ აქვს ადგილი, სამარცხვინოა. საწარმოების, სამშენებლო ორგანიზაციების სამეურნეო ხელმძღვანელობის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების ვალია სასტიკად შეებრძოლონ ასეთ მოვლენებს, არ დაუშვან უხარისხო საშენი მასალების გამოშვება და სამშენებლო სამუშაოთა დაუდევრად შესრულების შემთხვევები.

თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში საჭირო იქნება მომავალ წელს განვახორციელოთ საცხოვრებელი სახლების საჩვენებელი მშენებლობა ახალი ეკონომიური და ტიპური პროექტების მიხედვით. ეს სახლები ნიმუში უნდა იქნეს ბინათმშენებლებისათვის. სამშენებლო ორგანიზაციები ამთავითვე უნდა შეუდგნენ მზადებას ამ საქმის დასაგვირგვინებლად.

თბილისში უკვე დაწყებულია სათანადო მუშაობა მომავალი წლის სამშენებლო სამუშაოებისათვის მოსამზადებლად. მუშავდება ღონისძიებები საშენ მასალათა საწარმოების სიმძლავრეების გადიდებისათვის, სამშენებლო ინდუსტრიის გაფართოებისათვის. საჭიროა ეს მუშაობა დაჩქარდეს, დასახული ღონისძიებები სწრაფად განხორციელდეს, რათა ჩვენს სახელოვან მშენებლებს შევუქმნათ ყველა პირობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ვ. ჟურულიძე,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგის მოადგილე.

...მაშ ჩამოვიდეს ახლა თბილისში ის, ვინც აქ ამ ბოლო 25-30 წლის განმავლობაში არ ყოფილა, თუ იცნოს ქალაქის ცენტრალური რაიონები, ქუჩები, გარეუბნები!

...მაშ ჩამოვიდეს ახლა თბილისში ის, ვინც აქ ამ ბოლო 25-30 წლის განმავლობაში არ ყოფილა, თუ იცნოს ქალაქის ცენტრალური რაიონები, ქუჩები, გარეუბნები!

გაშენდა, გაიზარდა, გაფართოვდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი, დიადი ფერისცვლილება განიცადა და აღორძინებული საქართველოს სიამაყედ იქცა დედასავით საყვარელი, უჭკნობი სიკაშკაშის თბილისი. დასახლებული მასივები უკვე მიუახლოვდნენ ზემო ავჭალას, სამგორის გაცოცხლებულ სივრცეებს, გასცდნენ ორთაჭალის ბაღებს და მამაპაპურ განჯისკარს, მიიწევენ აღმოსავლეთით და დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით.

აი სურათზე ჩანს საბურთალოს ერთ-ერთ კუთხეში ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობის პანორამა. შარშან ამ დროს აქ შიშველი ადგილი იყო, ერთი საცხოვრებელი სახლიც არ ჩანდა, ახლა კი მრავალსართულიანი სახლების კორპუსები ამშვენებენ ახალ ქუჩას. მარჯვენივ ჩანს პავლოვის ქუჩა — ახალი საცხოვრებელი უბნის მთავარი მაგისტრალი.

კიდევ მრავალი ასეთი საცხოვრებელი უბანი შემოემატება თბილისს მიმდინარე ხუთწლედის ბოლომდე.

კარგი მაჩვენებლები

სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა კოლექტივებს შორის მშენებლის დღის აღსანიშნავად საოქტომბრო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში დაწინაურდნენ:

სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა პირველი კომბინატის კოლექტივი, რომელმაც 7 თვის დავალება 134,7 პროცენტით შეასრულა. საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლები აქვთ ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს ე. მჭედლიშვილს, ზ. ალამბარაშვილს, გ. ჩერქეზიშვილს, გ. რუხაძეს, ა. იუედს, ვ. ფანჩიძეს და მ. ხუციშვილს.

სამშენებელო ინდუსტრიის საწარმოთა მეორე კომბინატმა 7 თვის გეგმა 145,3 პროცენტით შეასრულა. აქ კარგი მუშაობით თავი ისახელეს მებეტონეებმა ა. დავითიანმა, მ. ნიკოლაიშვილმა, ო. ანუკიანმა, ქვის მთლელებმა ა. ბაშიაშვილმა, ვ. აკულაშვილმა, კ. იამანიძემ და დურგლებმა ი. აბულაძემ და ბ. ჯამარიანმა.

სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა მესამე კომბინატის კოლექტივმა 7 თვის გეგმა 65 პროცენტის გადამეტებით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით მშენებლის დღის აღსანიშნავად 672 ათასი მანეთის სამშენებლო დეტალები გამოუშვა.

ლაპარაკობენ მშენებლები

წელს ერთი უბანი, გაისად — მეორე



ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველოს კოლექტივი რუსთავში ამუამად ძირითადად სამუშაოებს აწარმოებს მტკვრის მარჯვენა მხარეზე. ორიოდე წლის წინათ აქ არაფერი იყო. ახლა კი მშენებიერი საცხოვრებელი უბნებია გაშენებული, უკვე ასობით მეტალურგი ცხოვრობს კეთილმოწყობილ, ნათელ ბინებში.

ჩვენი უბნის კოლექტივი ამუამად 9 საცხოვრებელ სახლს აშენებს. მათ შორის ექვსი შენდება მსხვილი წიდა-ბლოკებით, ხოლო სამი — აგურის ბლოკებით. ჩვენმა კოლექტივმა უკვე მოიპოვა პირველი წარმატება. ვადამდე დავამთავრეთ და მობინადრეთა შესასახლებლად გადავეცით ერთი 36-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. მშენებელთა დღის აღსანიშნავად ჩვენმა კოლექტივმა ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვა — დაამთავრა კიდევ ერთი ასეთივე საცხოვრებელი სახლის აგება.

მეორე უბნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად საექსპლოატაციოდ გადასცეს კიდევ ოთხი საცხოვრებელი სახლი.

გაისად ბინათმშენებლობის კიდევ უფრო დიდი პროგრამა გვაქვნება შესასრულებელი — მეტალურგებისათვის მოკლე დროში გავაშენოთ ახალი საცხოვრებელი უბნები.

გ. ნოზაძე,
ამიერკავკასიის მეტალურგმშენის საბინაო მშენებლობის სამმართველოს მეორე უბნის სამუშაოთა მწარმოებელი.

მექანიზაგორებო — პირველ ხაზზე!

მშენებელი მექანიზატორის შეუფერებელ მუშაობაზე, მებულდოზერე იქნება ის, მექანიკავტორე თუ ამწის მემანქანე, დიდად არის დამოკიდებული ყოველი მშენებლობის დაჩქარება. მაგალითად, თუ ამწე კარგად არ არის გამართული და მისი მემანქანე მაღლა სართულებზე საშენი მასალების მიწოდებას აგვიანებს, მშენებლებიც იძულებული იქნებიან მუშაობის ტემპი შეანელონ. მაგრამ ამწე შეუფერებლად რომ ვამუშაოთ, საჭიროა ამწის მემანქანე მაღალკვალიფიციური იყოს, მინდობილ ტექნიკას სრულყოფილად ფლობდეს.

ბინათმშენებლობის ფართო მასშტაბით გაშლისათვის მშენებელი მექანიზატორების მზადება იმით უნდა გამოიხატოს, რომ აიმაღლონ კვალიფიკაცია, სრულყოფილად დაეუფლონ ტექნიკას და უზრუნველყონ მშენებელთა არა ერთი, არამედ რამდენიმე ბრიგადის შეუფერებელი მომსახურება.

ი. ძოლრიძე,
კოშკურა ამწეს მე-8 თანრიგის მემანქანე.

ბინათმშენებლობის გაფართოება საღღეისო ამოცანაა

მოსკოვის მძლავრი გუგუნი მესმის...

მოსკოვის მძლავრი გუგუნი მესმის...
ჩემს გულსაც ლაღად ის ახმიანებს,
რაც თვითონ მოსკოვს და ყველა ქვეყნის
კეთილი ნების ადამიანებს!

ეს ხომ დღეების ბრწყინვაა წრფელი, —
მტერიც რომ იყო — მტრობით ვერ
წაშლი! —
მუქია, ბაცი თუ ალისფერი,
მკლავები ერთად ამართეს ცაში.

მესმის მოსკოვის მძლავრი გუგუნი:
— მშვიდობა უნდათ, მშვიდობა ხალხებს!—
ეს სიმღერაა ამ საუკუნის,
მილიონ გულთა სიმებს რომ არხევს.

მოსკოვის მძლავრი გუგუნი გესმის...
და ხალხთა ათას მხნე სიმღერაში,
სადღაც ჰკვეთს ჰაერს ფრთა ქართულ
ლექსის
და ეჯიბრება გულს გაფრენაში.

ამ გუგუნს მ[illegible]ელი სამყარო ენდო,
ის არი ყველა ქვეყნის ნუგეში,
აი, ნამდვილად ეს ცეცხლი ენთო
მუდამ ჩვენს მედგარ სიჭაბუკეში.

ეს ხმაა ხალხთა თავისუფლების,
ზეიმი აქ მას გაუმართია,
და ნაფლეთები ბნელი ღრუბლების
დღეს რომ ქარს მიაქვს — ძველი
დარდია...

ცა თუ სიმღერამ ააწკრიალა
მე ამ სიმღერის ძალ-ღონეც ვიცი:
ბრწყინვა კი არა, გრგვინვა კი არა —
ის არის ახალ დღეების ფიცი!

კარლო კალაძე.

ხალხური საუნჯის ნიმუშები

საჩხერე. (საკ. კორ.). აქ იმყოფება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორისტთა ექსპედიცია, რომელიც აგროვებს და მაგნიტოფონით იწერს ხალხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებს. ექსპედიციაში შედიან მეცნიერი მუშაკები: თ. ოქროშიძე (ხელმძღვანელი), ვ. მაცაბერიძე; ასპირანტები — ფ. ზანდუკელი, ჯ. ბარდაველიძე, გ. ბარნაველი. ექსპედიციამ სხვიტორში, სავანეში, არგვეთში, ქორეთში, კალვათაში, ჩიხაში, ჭალაში და სხვა სოფლებში შეაგროვა ფრიად საინტერესო მასალები, რომლებიც ასახავენ როგორც რევოლუციამდელ, ისე თანამედროვე ყოფას.

ექსპედიციას საყურადღებო მასალები მიაწოდეს ნიჭიერმა სახალხო მთქმელებმა ევა ზამბახიძემ, შოთა ომიაძემ, ოლია კირკვაიძემ, დესპინე და მარკოზ მაჭარაშვილებმა, ექვთიმე იაკობაშვილმა, ზაქარია ცუხიშვილმა, დომენტი კაპანაძემ, მელიტონ სამხარაძემ, სპირიდონ გუდაძემ და სხვებმა.

შეგროვებულია ხალხური საუნჯის იმდენი შესანიშნავი ნიმუში, რომ განზრახულია მათი წიგნად გამოცემა.

ჩაის კრეფვაში დაწინაურებულნი

ოჩამჩირე. (საკ. კორ.). სოფელ ჭლოუს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა მეჩაიეობის ერთ-ერთი მსხვილი სახოფლო-სამეურნეო არტელია ოჩამჩირის რაიონში.

ამ კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ო. ჯოპუა) თავი ისახელა ჩაის უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმატებით გაანალდა ჩაის ნედლეულის დამზადების მაისის, ივნისისა და ივლისის დავალებები და გეგმის გადამეტებით 5.600 კილოგრამი ჩაის ნედლეული ჩაბარა სახელმწიფოს.

წელს კოლმეურნეობამ გეგმით სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 355 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო ვალდებულება იკისრა ჩაის ფაბრიკებს გეგმის გადამეტებით ჩაბაროს 40 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული.

განსაკუთრებით დაწინაურდა პირველი ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი პ. კვარჭია ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრები იბრძვიან იმისათვის, რომ სეზონში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 45 ტონისა, სახელმწიფოს ჩააბარონ 55 ტონა ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრეფილია 40 ტონაზე მეტი. ბრიგადის მეჩაიეთა შორის ფართოდ გაიშალა ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მკრეფავმა ვალენტინა კვარჭიამ ვალდებულება იკისრა წელს მოკრიფოს 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 4.300 კილოგრამი ჩაი.

ასევე წარმატებით მუშაობენ ზინა დემირჯი, შურა ჯოპუა, ტატიანა შონია და სხვები. ისინი დღეში 70-80 კილოგრამ ჩაის კრეფენ.

მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი კ. გოგოხია) გეგმით ნავარაუდევი 120 ათასი კილოგრამის ანგარიშში მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 92 ათასი კილოგრამი ჩაის ნედლეული. მოწინავე მკრეფავმა დუსია ხუბუტაიამ ვალდებულებით უნდა მოკრიფოს 5 ათასი კილოგრამი, მოკრიფა 4.000 კილოგრამი ჩაი. წარმატებები მოიპოვეს ლ. ფარულავამ, ნ. ჭოლოკუამ, დ. გოგოხიამ და სხვებმა.

მეორე ბრიგადის მოწინავე მეჩაიემ ნიურა ადლეიბამ ვალდებულებით ნაკისრი 6.000 კილოგრამის ანგარიშში უკვე მოკრიფა 4.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ემზადებიან რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჭლოუელი მეჩაიეები თავიანთ სიტყვას საქმედ აქცევენ.

* * *

სურათზე: ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე ნიურა ადლეიბა, რომელიც ყოველდღიურად 70-80 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა.

ბიბლიოგრაფია

ნაშრომები მოსავლიანობის გაზრდების წყაროებზე

აგრონომიული მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მდიდარი გამოცდილების საფუძველზე დადგენილია, რომ ორგანული და მინერალური სასუქების შეტანით უმჯობესდება ნიადაგის სტრუქტურა, ნოყიერება, იქმნება ყველა საჭირო ფაქტორი მცენარის უკეთესი ზრდა-განვითარებისათვის, ორჯერ და სამჯერ მატულობს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის და, კერძოდ, ჩაის, შაჰრის ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომპლექსური აგროტექნიკის ზანხორციელებას, ხოლო ამ კომპლექსში დიდი როლი ენიჭება როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქების გამოყენებას. ამიტომ იყო, რომ ჩვენი პარტიის XX ყრილობამ უურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობაში სასუქების გამოყენებაზე. ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: „გაუმჯობესდეს მინერალური სასუქების, აგრეთვე ადგილობრივი სასუქების: ნაკელის, ტორფის, კომპოსტების, ნაცრის გამოყენება. გაფართოვდეს სოფლის მეურნეობისათვის ტორფის საშრეწველო მოპოვება“.

ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა მინერალურ სასუქებს დიდი რაოდენობით იღებს მრეწველობისაგან, ხოლო ყოველწლიურად სოფლის მეურნეობაში საგრძნობი რაოდენობით გროვდება ნარჩენები. აუცილებელია სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა იცოდეს სასუქების თვისებები, მათი მიღებისა და გადაზიდვის პირობები, შენახვის, შერევისა და გამოყენების წესები.

ამ საკითხებზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობამ წელს გამოსცა პროფესორ ა. მენაღარიშვილის სამი ბროშურა („მინერალური სასუქები“, „ადგილობრივი სასუქები“, „ტორფის სასუქების მომზადება და გამოყენება“).

ეს ბროშურები საინტერესოა იმით, რომ მათში დეტალურად, გასაგებად გადმოცემულია აზოტიანი, ფოსფორიანი, კალიუმიანი, ტორფიანი და სხვა სასუქების მოკლე დახასიათება, სასუქების გამოცნობის მარტივი წესი, სასუქებთან მუშაობის დროს გამფრთხილებელი ღონისძიებანი, შესატანი დოზების გამოანგარიშება, სასუქების შერევის წესები, აგრეთვე სასუქების გამოცნობის ცხრილები, რასაც პრაქტიკულ მუშაობაში ადვილად გამოიყენებს თვითეული კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ავტორი ბროშურაში „ადგილობრივი სასუქები“ — ფართოდ აშუქებს ნაკელის, წუნწუხის, შერეული კომპოსტების, მდინარის შლამის, ნაცრის, ტკილის, წარმოების ორგანული ნარჩენების და სხვათა შეგროვების, შენახვის, გამოყენების წესებს და სამართლიანად დასაკვნის, რომ „აღნიშნული სასუქები უდიდეს რეზერვს წარმოადგენენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საქმეში, რადგან სამრეწველო მინერალურ სასუქებთან სწორი შეხამებით ისინი უზრუნველყოფენ ჩვენი მიწათმოქმედების პროდუქტთა სიუხვეს“ (გვ. 5).

პროფ. ა. მენაღარიშვილი დაწერილებით აღწერს ნამჯისგან ორგანული სასუქის, ეგრეთწოდებული ხელოვნური ნაკელის დამზადების ხერხებს. ეს მეტად საყურადღებო და სასარგებლო საქმეა. ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მისმა რაიონულმა ორგანოებმა ადგილებზე. აღმოსავლეთ საქართველოში პურის აღების შემდეგ ნამჯის საგრძნობი რაოდენობა გამოუყენებელი რჩება, ფუჭდება ან სწვავენ, რის შედეგად დიდი რაოდენობით იკარგება ორგანული ნივთიერებანი და აზოტი. ნამჯისაგან კი შეიძლება საუკეთესო ხარისხის ორგანული სასუქის მომზადება.

საინტერესოა ამავე ავტორის მიერ შედგენილი ბროშურა „ტორფის სასუქების მომზადება და გამოყენება“. აქ აღწერილია ტორფის საბადოები საქართველოს ტერიტორიაზე (ბორჯომის, წალკის, ქობულეთის, ზუგდიდის და სხვა რაიონები), ამასთან მოცემულია ტორფის ცალკეული ტიპების (მაღალბის, ჭაობის, დაბლობის ტორფი) მოკლე დახასიათება და ტორფიდან ორგანული სასუქების (ტორფ-კომპოსტის, ტორფ-ნაკელის კომპოსტის, ტორფ-წუნწუხის, ტორფ-ფეკალის, ტორფ-კირის კომპოსტის და სხვ.) მომზადების მეთოდები, დახასიათებულია მათი მნიშვნელობა მებოსტნეობაში, ხეხილის ბაღის, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების გასანოყიერებლად.

* * *

ქართველ მიჩურინელებზე და მათს შემოქმედებითს მუშაობაზე მდიდარი მასალები მოჰყავს პროფესორ ნ. ხომიზურაშვილს თავის ბროშურაში „მიჩურინული აგრობიოლოგიის მიღწევები საქართველოში“, რომელიც ამ ოთხიოდე თვის წინათ გამოსცა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. აი ზოგიერთი ცნობები მიჩურინელ ვასილ ბესტავაშვილის საქმიანობაზე ატმის, ვაზის და სხვა კულტურების ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის საქმეში. მის მიერ გამოყვანილი ატმის ჰიბრიდი „ბესტავაშვილი“ მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება. ამ ჯიშის ატმის ნაყოფისაგან დამზადებული კომპოტები მეტად არომატულია და სასიამოვნო გემო აქვს. კიდევ უკეთესია ვასილ ბესტავაშვილის მიერ გამოყვანილი ატმის მეორე ახალი ჯიში „წედისური“, რომელიც უნივერსალური ჯიშია. ამ ჯიშის ნაყოფი როგორც სასუფრე ჯიში, შეფასებულია 5 ბალით, ხოლო როგორც საკონსერვო — 4 ბალით.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ბესტავაშვილის მიერ გამოყვანილი ვაზის ჰიბრიდები: ბუდეშური თეთრყურძნიანი, „თავკვერი“ — წითელყურძნიანი, გორული მწვანე თეთრყურძნიანი და მრავალი სხვა.

თუთის ახალი ჯიშის გამოყვანის შესახებ ავტორი სანინერესოდ მოგვითხრობს მიჩურინელ გრ. ჯაფარიძეზე, რომელიც წლების განმავლობაში თავდადებული შრომით შექმნა თუთის ახალი ჯიში „საქართველო“. ეს მცენარე იძლევა 3-4-ჯერ მეტ ფოთოლს, ვიდრე გარეული თუთა, მას ახასიათებს მაღალი კვებითი ღირებულება, ყინვაგამძლეა.

ბროშურაში მნიშვნელოვანი ცნობებია გამოჩენილი ქართველი მიჩურინელის, სტალინური პრემიის ლაურეატის, პროფესორ ქსენი ბახტაძის ღრმა მეცნიერული მუშაობის შესახებ.

ასევე საინტერესოდ არის მოთხრობილი ბროშურაში ვაშლის ახალი ჯიშის გამომყვანის ელენე ერისთავის, თუთის ახალი ჯიშის „ეუთათურის“ (ავტორები ა. დიდიძე და ა. მარჯანიშვილი), „თბილისურის“ (ავტორი — შაბლოვსკაია) გამომყვანთა და სხვა ქართველ მიჩურინელთა საქმიანობაზე, რომლებიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ტუნგოს, ნესვის, ცაზამთრის, ბოსტნეული და სხვა კულტურების ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანაგაუმჯობესების საქმეში.

ბროშურები გასაგებად, პოპულარული ენით არის დაწერილი. მათი შედგენისათვის ავტორებთან ერთად კეთილსინდისიერად უმუშავნიათ რედაქტორებს: პროფესორებს ი. სარიშვილს, შ. ჯანიშვილს, დოცენტ ბ. იაკობაშვილს და აგრონომ ვ. ბერიძეს.

ეს ნაშრომები სერიოზულ დახმარებას გაუწევს სოფლის მეურნეობის მუშაკებს.

დ. ფაილოძე.

წერილების კვალდაკვალ

ჯყუილს მოკლე ფეხები აქვს...

სტალინირიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ჯავისაკენ მიმავალი მოასფალტებული გზის პირას, ბაღნარში ახალმშენებლობათა კიდევ ერთი ხარაჩო გამორჩდა. მიეუახლოვდით, გვინდოდა გვენახა, გვესაუბრა ახალმშენებლობაზე მომუშავე ადამიანებთან, მაგრამ სამწუხაროდ, იქ ვერავინ ვნახეთ.

— შესვენებიდან მშენებლები ალბათ მალე დაბრუნდებიან, არა? — ვკითხეთ მუახნის ქალს, რომელიც იქვე სკოლის ეზოში დაფუსფუსებდა. მან გაოცებით შემოგვხედა და უხალისოდ გვიპასუხა:

— რამდენიმე კვირა იქნება, რაც ისინი აქ აღარ მინახავს, სხვა რომ არა იყოს რა, ბავშვების კითხვებს ვეღარ ავუდივარ: ბებია, სახელოსნო წელს მაინც გვექნება თუ არაო! აბა რა ვიცი, რა ვუპასუხო! — საყვედურით ამბობს იგი.

ჩამაფიქრებელი საყვედურია. მართლაც, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ამ ცხარე დღეებში რატომ არ ჩანან მშენებლები? აი რა მოხდა.

ამას წინათ „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღო მომართვა, რომელშიც სიტყვასიტყვით შემდეგი სწერია:

„20 ივლისი, 1957 წელი. სტალინირის რაიონის სოფელ კეხვის კოლმეურნეობის გამგეობა ამით გაცნობებთ, რომ კოლმეურნეობის მიერ აშენებულია ამავე სოფლის საშუალო სკოლის სახელოსნო და დაწყებულია სახურავის შეკვრა. თქვენი გაზეთის 18 ივლისის ნომერში მოთავსებული სტატია „ვალდებულებას შესრულება უნდა“, რაც ჩვენს კოლმეურნეობას აკრიტიკებს, თითქოს მხოლოდ კედლებია ამოყვანილი 1,5 მეტრზე, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

სტალინირის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ჯიორკა კოსტა ერთხელაც არ ყოფილა ამ სკოლის (!!) მშენებლობის დროს...

კოლმეურნეობის თავმჯდომარე: ვ. ჭულუხაძე. ბუხჰალტერი: კ. ტურაშვილი“.

სწორედ რომ სამწუხაროა ვინმემ დაუმსახურებლად, უმართებულოდ გაგაკრიტიკოს საქვეყნოდ. გულსატკენია! მაგრამ თუ მართალი ხარ, ცა ქუდად არ მიგაჩნია და დედამიწა ქალამნად; მართალი კაცი კაუზე მაგარიაო, უთქვამთ. და აი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ჭულუხაძეც ამაყად შეგვიდგა სკოლის ეზოში.

— ცილისმწამებელი წერს, კედელი 1,5 მეტრზეა ამოყვანილიო, ავზომოთ, თუ ორ მეტრზე მეტი არ იქნება...

— მისასალმებელია, ალბათ გაზეთის სიგნალის შემდეგ დაიჩქარეთ მშენებლობის ტემპი, — შევეხიტყვეთ ამხ. ჭულუხაძეს.

მან ალმაცერად შემოგვხედა და მკვახედ გვიპასუხა:

— პირიქით, გაზეთის შენიშვნის შემდეგ ჩემი უშუალო მითითებით მშენებლებს თითი-თითზე არ დაუკარებიათ. ვუცდიდი საჩივრის შემოწმებას, მსურდა კომისიას ენახა, კედლები მართლა 1,5 მეტრზეა თუ მეტზე ამოყვანილი!...

— ეს რა გაუკეთებია, კაცო, — აღმოხდა თანამგზავრს და გაოცებისაგან უპირისპირდა ... ფეხებით მოსილ ... [illegible] ... ენაც ვხედავთ, რომ მშენებლობაზე კაცის ქაჯანები არ არის. იმასაც ვხედავთ, რომ კედლები ერთ მხარეზე ორ მეტრზე მეტია ამოყვანილი, ხოლო წინა მხარეს ცეროდენაა.

გულმა აღარ მომითმინა, ვკითხე:

— კი, მაგრამ თქვენ ხომ თელაველთა მოწოდების პასუხად ხალხს სიტყვა მიეცით, ვალდებულება იკისრეთ, რომ სკოლის ექვსოთახიანი სახელოსნოს მშენებლობას 20 აგვისტოსათვის დაამთავრებდით?

— ჰო, იყო ასეთი დაპირება, მაგრამ გაზეთით გამაბრაზეს, მეც კაცი ვარ, თავმოყვარეობა მაქვს.

ამ ცივ პასუხს კოლმეურნეობის ბუხჰალტერმა კ. ტურაშვილმა კვერი დაჰკრა:

— მართალს ამბობს!

— თქვენ რედაქციას სწერთ, რომ აშენებულია საშუალო სკოლის სახელოსნო, სახურავის შეკვრას ამთავრებთ, აქ ჯერჯერობით ამის მსგავსი არაფერი ჩანს!

თავმჯდომარეს პასუხი არ გაუცია, სამაგიეროდ ვიღაცამ ჩაილაპარაკა:

— ტყუილს მოკლე ფეხები აქვს...

ინტერვიუმ ცოტა არ იყოს მკაცრი ხასიათი მიიღო.

— როგორც თქვენ განაცხადეთ, 2 აგვისტოს პარტიის რაიკომის ბიუროზე ამ მშენებლობის ნელ ტემპზეც იყო ლაპარაკი...

— იყო, ჩამორჩენისათვის სხვებთან ერთად ჩვენც მიგვითითეს... მაგრამ ჯიოევის მოწამლული სტრიქონები მაინც ვერ ამიტანია, დავშიშმინდები, და ვნახოთ...

ჭულუხაძე წერილის ავტორს — განათლების განყოფილების გამგეს კ. ჯიოევს უსაყვედურებდა, ერთხელაც არ ყოფილა მშენებლობაზეო. ამ დროს საუბარში ჩაერია სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, პარტორგანიზაციის მდივანი დ. ჯოხაძე.

— როგორ გეკადრებათ, ხომ გახსოვთ, სტალინირიდან აგური მანქანით თვითონ კოსტამ რომ ამოიტანა მშენებლობისათვის!

ჭულუხაძე შეიშმუშნა:

— ჰო, მართალია, კოსტა ერთხელ მეც დავინახე, — ისე წარმოთქვა ეს სიტყვები, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრებაო...

მშენებლობისათვის მოსწავლეთა მიერ მოზიდულ ქვიშას ქარი და წვიმა ანიავებს. სასწავლო წელიც ახლოვდება. ჭულუხაძე, კრიტიკის ჩაქოლვის ყინით გატაცებული, თვითნებობს, ჯიუტობს, ქედმაღლობს, აქტივის წინაშე ნაკისრ ვალდებულებასაც კი ივიწყებს, პატივს არა სცემს.

ვფიქრობთ, რაიონის ხელმძღვანელობა მაინც არ გატეხს თავის სიტყვას — აღნიშნული მშენებლობის ჩამორჩენის გამო ჭულუხაძისათვის მიცემულ მითითებას გიხსენებს, კვლავ შეამოწმებს. დარწმუნებული ვართ, კეხველი გოგონები და ჭაბუკები კოლმეურნეობის თავმჯდომარის თვითნებობის მიუხედავად ახალი სასწავლო წლისათვის შესანიშნავ საჩუქარს — სახელოსნოს შენობას მაინც მიიღებენ.

ა. სხვაველი.

[illegible]

ვის არ გაუგონია შორეული ზღაპრული ქვეყანა — ჩინეთი. მაგრამ თუ ძველი ჩინეთი შორეულ ქვეყნად ითვლებოდა, ახალი, სახალხო ჩინეთის შესახებ ამას ვერ ვიტყვით. დღეს საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ისე დაახლოებულნი და დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, როგორც ღვიძლი ძმები.

ბედნიერი შემთხვევა მქონდა რამდენიმე დღე სტუმრად ყოფილიყავი მოძმე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, დამეთვალიერებინა მისი ხალხმრავალი ქალაქები და კოპწია სოფლები, დაფიქცბარიყავი მისი თვალუწვდენი ველების, წყალუხვი მდინარეებისა და ცად ახიდული შუქურვალების ცქერით.

ეს მართლაც დაუვიწყარი დღეები იყო...

მოსკოვი — პეკინი

ეს იყო შარშან, პარტიის XX ყრილობის მუშაობის დღეებში. მახარაძის რაიონიდ მშრომელებმა ეს დიდი ისტორიული მოვლენა ჩვენი პარტიის, მთელი ქვეყნის ცხოვრებაში ბეჭედს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დამთავრებით აღნიშნეს. ბეჭედსის აგებაში ქართველ მშენებლებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ორი ჩინელი მეგობარი — ჯაო ეუნ-კუნი და ო იან-ტინი. მათთვის, ისევე როგორც ქართველი ენერგოშენებლებისათვის, ბეჭედის ჰიდროელექტროსადგურის აგება და პირველი დენის მიღება გამოცდილების ნამდვილი სკოლა იყო. და აი დადგა ჩინელი ენერგეტიკოსების სამშობლოში გამგზავრების დღე. ქართველმა მეგობრებმა მათ ნამდვილი საზეიმო გაცილება მოუწყეს რკინიგზის მახარაძის სადგურზე.

— არ დაგვიიწყოთ, ძმებო! — სთხოვდნენ ჩინელ მეგობრებს გამცილებლები.

— არასოდეს! — ამბობდა ჯაო ეუნ-კუნი, — ჩვენ მუდამ გვეხსომება დიდი საბჭოთა ხალხი, თქვენი შშენაერი ქვეყანა!

ხოლო ო იან-ტინი უმატებდა:

— გთხოვთ გვიწვიოთ, ძმებო, ჩინეთში!

და მრავალი გამცილებელი ერთხმად უპასუხებდა:

— აუცილებლად გეწვევით და გინახულებთ!

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ასე მალე ასრულდებოდა ეს დაპირება და რომ ეს სასურველი სტუმარი სწორედ მე ვიქნებოდი.

აი როგორ მოხდა ეს. ა. წ. 22 მაისს მოსკოვიდან პარტიის რაიკომში მივიღეთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ამხ. გ. გ. პეტროვის დეპეშა. იგი იტყობინებოდა, რომ მე მონაწილეობა უნდა მივიღო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციაში, რომელიც ამ დღეებში ეწვევა ჩინეთს. ეს ამბავი ჩვენ ენთუზიაზმით ... [illegible] ... ოლ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციაში, რომელიც ამ დღეებში ეწვევა ჩინეთს. ... [illegible] ... ბეკინის ... [illegible] ... ოლ ... [illegible] ... ეკინი, ეს ორი მოძმე ქვეყნის ორი დედაქალაქი, დიდი მანძილით არიან ერთმანეთს დაშორებული!

ომსკსა და ირკუტსკში შესვენების შემდეგ, თვითმფრინავი კიდევ ერთ გიგანტურ ნახტომს აკეთებს და 30 მაისს დღის 4 საათზე პეკინის დროით უკვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის აეროდრომზე ვართ.

მოგზაურობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში

★

ამ მგზავრობის დროს განსაკუთრებით თვალნათლივ ვიგრძენით ჩვენი სამშობლო ტექნიკის უდიდესი წარმატება, ასეთი გიგანტური ნახტომი რამდენიმე საათის განმავლობაში! გული უჩვეულო სიამაყით იწყებს ძგერას, როცა ჩვენი საბჭოთა საავიაციო ტექნიკის ამ სასწაულებს ხედავ.

პეკინის აეროდრომზე საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაციას დიდი საზეიმო შეხვედრა მოუწყეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სრულიად ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის თანამშრომლებმა, დედაქალაქის მცხოვრებლებმა. ჩვენ, საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს, დიდხანს და გულთბილად მოგვესალმებოდა პეკინის ათასობით მცხოვრები. დაუცხრომლად გაისმოდა გულიდან ამოხეთქილი მესასალმებელი შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხების მარადიულ მეგობრობას!“ იმდენი ცოცხალი ყვავილების თაიგულები მოგვიძღვნეს, რომ მიგ ვიმალებოდით.

ამ გულისამაჩუყებელმა და სტუმართმოყვარულმა შეხვედრამ ჩვენი დელეგაციის თვითეულ წევრზე დიდად იმოქმედა. პირველი წუთებიდანვე თავი ვიგრძენით საყვარელი ძმებისა და უახლოესი მეგობრების მშობლიურ წრეში. ტაში დაუცხრომელ გრიალში ვსხდებით მსუბუქ მანქანებში და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკთა თანხლებით მივემგზავრებით სასტუმრო „პეკინისაკენ“, რომელიც მთელ დედაქალაქში ერთ-ერთ ყველაზე მშვენიერ და კომფორტაბელურ სასტუმროდ ითვლება. სასტუმროს ყველა მუშაკი დიდ თავაზიანობას და თანაგრძნობას ეჩენდა დელეგაციის წევრებისადმი და ამით გამოხატავდა უანგარო სიყვარულსა და პატივისცემას ჩვენი ქვეყნისადმი.

სრულიად ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

რამდენიმე საათის განმავლობაში სასტუმროში კარგად დავისვენეთ. საღამო ხანს დელეგაციის წევრებმა ჩინელ ამხანაგებთან ერთად შევიმოქმედეთ სრულიად ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის, აგრეთვე ჩინეთის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ქალაქების, კულტურის ძეგლების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების და სხვა ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების გეგმა.

ეს იყო 30 მაისს. მეორე დღეს კი, დილის 9 საათზე ჩვენი დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკების თანხლებით ძსუბუქი მანქანებით სასოფლო-სამეურნეო გამოფენისაკენ გაემგზავრა.

გამოფენა პეკინს 7-8 კილომეტრით თუ იქნება დაშორებული, ისე რომ სულ რამდენიმე წუთში მივედით იქ. პიონერ-მოსწავლეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, გამოფენაზე მყოფი მშრომელები დიდხანს მხურვალედ მესალმებოდნენ დელეგაციას. ყოველი მხრიდან გაისმოდა აღფრთოვანებული შეძახილები და მეგობრულ მესალმებათა სიტყვები:

— გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მარადიულ მეგობრობას!

— გაუმარჯოს მოძმე საბჭოთა ხალხს!

გამოფენის დამთვალიერებლებთან ჩვენი დელეგაციის წევრთა ეს შეხვედრა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმური კავშირის ახალ ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა.

დელეგაციას გულთბილად მიესალმა სრულიად ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორი ამხ. ძინ შენ-ბაო, რომელმაც სტუმრებისათვის განკუთვნილ სპეციალურ დარბაზში მიგვიწვია.

— ჩვენს ქვეყანაში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, სოფლის მეურნეობის კოოპერირებამ, სასოფლო-სამეურნეო მშენებლობამ, — განაცხადა თავის მისასალმებელ სიტყვაში ამხ. ძინ შენ-ბაომ, — უდიდესი წარმატებანი მოიპოვა და დიდი გამოცდილება შეიძინა. სრულიად ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა აჯამებს ამ წარმატებებსა და გამოცდილებას, რომლებიც მთელი ჩინეთის გლეხობას აღაფრთოვანებს 1957 წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარების 1956-1967 წლების პროგრამის განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ამხ. ძინ შენ-ბაომ აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო გამოფენა 11 პავილიონისაგან შედგება. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთო, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, მოსავლის გადიდების ღონისძიებათა, წყალთა მეურნეობის, ტროპიკული კულტურების, სახელმწიფო მეურნეობათა და სხვა პავილიონები.

თავის სიტყვაში იგი განსაკუთრებით შეეხო ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის უდიდეს მნიშვნელობაზ და ასძახა: როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებები იმის შედეგიცაა, რომ სახალხო ჩინეთს უანგარო ძმურ დახმარებას უწევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი.

— ამხანაგებო, — მოგვმართა დასასრულ ამხ. ძინ შენ-ბაომ, — გთხოვთ დაათვალიეროთ ჩვენი გამოფენა, კრიტიკულად შეაფასოთ აქ წარმოდგენილი მასალები და ექსპონატები, გააკეთოთ თქვენი შენიშვნები და წამოაყენოთ წინადადებები. ყოველივე ეს დიდად დაგვეხმარება ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების საქმეში.

სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ამხ. გ. გ. პეტროვმა. გულთბილი, სტუმართმოყვარული მიღებისათვის მან გულითადი მადლობა გადაუხადა ჩინეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, რომელმაც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია ჩინეთში მიიწვია, დიდი მადლობა გადაუხადა აგრეთვე ჩინეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებსა და მთელ ჩინელ ხალხს ძმური გრძნობებისა და გულწრფელი სტუმართმოყვარეობის გამოჩენისათვის.

— ახალ შესანიშნავ წარმატებებს ვუსურვებ დიდ ჩინელ ხალხს, — ტაშის გრიალში ამთავრებს ამხ. გ. გ. პეტროვი სიტყვას, — თავისი დიდი ბელადის ამხანაგ მაო ძე-დუნის მეთაურობით ჩინეთის კომუნისტური პარტიის

გამოფენის მთავარი შესასვლელი.

VIII ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში!

საბჭოთა დელეგაციის წევრებს ამხ. ძინ შენ-ბაომ დაურიგა სრულიად ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოკლე აღწერა და თვითეულ მათგანს გადასცა საჩუქარი — გამოფენის მონაწილის სამკერდე ნიშანი.

ამ საზეიმო შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჩვენი დელეგაცია ხუთ ჯგუფად გაიყო იმის მიხედვით, თუ ვინ რომელი მოკავშირე რესპუბლიკიდან იყო და ვისთვის სოფლის მეურნეობის რომელი დარგის გაცნობა-შესწავლა უფრო საჭირო იყო. მე, როგორც ჩვენი ქვეყნის სუბტროპიკული რაიონის წარმომადგენელს, უფრო მეტად ჩაის და ციტრუსო

მოსკოვში, VI მსოფლიო ფესტივალზე

9 აგვისტო — ფესტივალის მეცამეტე დღე—აღინიშნა შრომის დიდი დღესასწაულით, რომელზეც შეკრიბა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მუშა ახალგაზრდობა.

დიდ თეატრში გაიმართა კონცერტი. თავიანთი ხელოვნება აჩვენეს საუკეთესო ახალგაზრდა მომღერლებმა, მოცეკვავეებმა, მუსიკოსებმა — ფესტივალის ლაურეატებმა, სამხატვრო კონკურსებში გამარჯვებულებმა.

საზეიმო ეროვნული პროგრამებით გამოვიდნენ თეატრებში და ესტრადებზე ალჟირის, ლათინური ამერიკის ქვეყნების, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდა მსახიობები.

ლენინის გორაზე, მეცნიერების სასახლეში, მუშაობა დაამთავრა სტუდენტთა საერთაშორისო კლუბმა. გახსნის პირველი დღეებიდანვე მან პოპულარობა მოიპოვა საბჭოთა და სახელგარგარეთის ახალგაზრდობაში. ყოველ დღეს და ყოველ საათში ფესტივალის დელეგატებს შეეძლოთ აქ შეხვედროდნენ სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებს, გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის აზრები და შეხედულებები. ხალხით გაჭედილ აუდიტორიებში მიმდინარეობდა ამ სტუდენტთა სემინარები, რომლებიც ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობას, ტექნიკასა და ლიტერატურას, ატომის ენერგიის გამოყენების საკითხებს, ისტორიასა და არქეოლოგიას, კინემატოგრაფიასა და სამართალს სწავლობენ. ხალისით ესწრებოდა ხალხი ახალგაზრდა შემსრულებელთა კონცერტებს, კინოს საღამოებს, რომლებზეც უჩვენებდნენ საბჭოთა კავშირის, ინდოეთის, გერმანიის, უნგრეთის, იაპონიის, ეგვიპტის, არგენტინისა და სხვა ქვეყნების ფილმებს.

კლუბში ძალიან ბევრსა და მხურვალედ ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ საჭიროა აღმოიფხვრას გათიშვა სტუდენტთა საერთაშორისო მოძრაობაში, საჭიროა განმტკიცდეს ყველა ქვეყნის სტუდენტთა ერთიანობა და მეგობრობა.

9 აგვისტოს მოსკოვის ფრუნზეს რაიონის ქალიშვილებმა და ჰაბუკებმა მიიღეს ინდონეზიელი სტუმრები. ახალგაზრდა მოსკოველთა და ინდონეზიელ მეგობართა გულთბილი, მეგობრული შეხვედრა რამდენიმე საათს გაგრძელდა. სტუმრებს მიართვეს ყვავილთა თაიგულები, უჩვენეს მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი. თავის მხრივ ინდონეზიელებმა მოსკოვის ქალიშვილებსა და ჰაბუკებს გააცნეს ინდონეზიის ეროვნული ხელოვნება.

ტურისტული ორგანიზაციების და იმ ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რომლებიც საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, სირიის, ავსტრიის, ჩინეთისა და მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყნის ახალგაზრდობის დასვენებისათვის ზრუნავენ, 9 აგვისტოს შეხვდნენ ერთმანეთს, რათა გაეზიარებინათ მუშაობის გამოცდილება, მოელაპარაკნათ ტურიზმის შემდგომი განვითარების გზებზე. პოლონეთის ტურისტთა და მხარეთმცოდნეთა საზოგადოების წარმომადგენელმა იადვიგა ჩაიკამ ილაპარაკა, რომ მათი საზოგადოება მეტად პოპულარულია ახალგაზრდობაში, რომ პოლონეთში ტურიზმსა და მშობლიურ მხარეში მოგზაურობას მისდევს ათეულ ათასობით ქალიშვილი და ჰაბუკი. მთავრობა ზრუნავს ახალგაზრდობის გონივრული დასვენების ორგანიზაციისათვის; დიდ სახსრებს ხარჯავს სასწავლი ბანაკების, ტურისტული ბაზებისა და სადგურების ორგანიზაციისათვის. სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რაოდენ პოპულარულია ტურიზმი მათს ქვეყნებში, თუ როგორ ზრუნავენ იქ სპორტსმენებისათვის.

ტურისტთა საერთაშორისო შეხვედრის ახალგაზრდა მონაწილეებს გულთბილი მისალმების სიტყვებით მიმართა უხუცესმა რუსმა ალპინისტმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მიხეილ ნიკოლოზის-ძე გუბანოვმა.

შეხვედრის ახალგაზრდა მონაწილეთა ყველა გამოსვლას წითელ ზოლად გასდევდა ერთი და იგივე აზრი — რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდობა ჩააბან ამ შესანიშნავი სახეობის სპორტში, გააფართოონ და განამტკიცონ ახალგაზრდა ტურისტთა საერთაშორისო ურთიერთობა.

ათი დღის განმავლობაში მოსკოვის ყველა კუთხეში ახალგაზრდობის დღესასწაულის ოქროს მედლებისათვის ეცილებოდა ერთმანეთს 3.000 სპორტსმენი — 46 ქვეყნის წარმომადგენლები.

ფესტივალის მეცამეტე დღეს მოსკოველები და სტუმრები შეიკრიბნენ „დინამოს“ სტადიონზე, რათა მისალმებოდნენ გამარჯვებულებს, გაეგოთ მეგობრული სტარტების შედეგები. დახურვის დღესასწაული დაიწყო ფეხბურთის მატჩით. ავდანეთისა და მოსკოვის რკინიგზელთა სასპორტო კლუბის ფეხბურთელები ერთმანეთს შეხვდნენ ფინალურ თამაშში ჩემპიონის წოდებისათვის. შეხვედრა დამთავრდა მოსკოველ რკინიგზელთა გუნდის გამარჯვებით. მას გადაეცა ოქროს მედლები და ფესტივალის თასი. ფესტივალის საუკეთესო ფეხბურთის გუნდები უვლიან სასატიო წრეს, მათ კვალდაკვალ სტადიონის სამხრეთი კარიდან შემოდის მედროშეთა კოლონა, რომლებსაც საფესტივალო ალმები მოაქვთ. იწყება გამმარჯვებულთა პარადი. მათ გამარჯვებას ულოცავს ფესტივალის საერთაშორისო კომიტეტის წევრი მიხაი ბირუ. ნელა ეშვება სპორტული ალამი. ორკესტრი ასრულებს „დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს“. მას სხვადასხვა ენაზე მღერის სტადიონის ყველა დამსწრე. სპორტსმენები, რომლებიც მოედანზე დგანან, მაღლა სწევენ ყვავილთა თაიგულებს და უქნევენ დამსწრეებს, თითქოს ეთხოვებიან მოსკოველებს, ყველა მეგობარს ახალ სტარტებამდე, ახალ შეხვედრებამდე.

9 აგვისტო. (საკდესი).

საერთაშორისო სამხატვრო კონკურსების ლაურეატთა კონცერტი

უკეთესი, რაც კი არის თვითეული ხალხის ხელოვნებაში, მოუტანეს დღეს ძღვნად თავის მეგობრებს — ფესტივალის მონაწილეებს მისი სამხატვრო კონკურსების ლაურეატებმა. სსრ კავშირის დიდ თეატრში 9 აგვისტოს გამართულ „ჟრიჟინადან“. კიდევ უფრო დიდი წარმატებით იმღერა როსინის „ტარანტელა“.

ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა საუბარი საბჭოთა მწერლებთან. მოხსენება „სტუდენტები და მსოფლიო კულტურა“ გააკეთა მწერალმა ილია ერენბურგმა. სურათზე: მწერალი ილია ერენბურგი მიესალმება იორდანიის დელეგატს კაიროს უნივერსიტეტის სტუდენტს ხამურნეკ მუნურს.

ფოტო ვ. კაპუსტინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ლი საზეიმო კონცერტის პროგრამამ გვიჩვენა მსოფლიოს ახალგაზრდა ტალანტების სიმდიდრე და მრავალფეროვნება. ის, რასაც სათუთად ინახავენ ხელოვნებაში და გადასცემენ თაობიდან თაობას, ის, რაც ყველაზე მკაფიოდ ავლენს ეროვნულ ნიშნებს, უჩვენეს კონცერტის მონაწილეებმა.

არ ყოფილა პროგრამაში არც ერთი ნომერი, რომელსაც მხურვალე მოწონებით არ შეხვედროდნენ. ტაშით მიესალმნენ ბულგარელ ქალიშვილთა გუნდს, მაკედონიის ჰაბუკთა მამაცურ ცეკვა „ოროს“, რომელიც იუგოსლავიის ახალგაზრდულმა ანსამბლმა შეასრულა, სიმღერას, რომელიც ახალგაზრდა კორეელმა ქალიშვილებმა შეასრულეს, გრაციოზულ „ფარშავანგს“, რომელსაც ჩინელი ქალიშვილები ცეკვავენ და უკრაინელთა ცეცხლოვან „ჰოპაკს“.

...დარბაზში სანთლე ქრება და მუქი, სწრაფად მიმავალი ღრუბლების ფონზე გამოჩნდა ვეებერთელა, მბრწყინავი დრაკონი. იგი მისდევს ლალისფერ-წითელ ბროლის ბურთს, იგრიხება რკალად, ხან მიწაზე მიცურავს, ხან ჰაერში მიფრინავს. პროჟექტორის სხივი სიბნელიდან იტაცებს კოლონების გამოსახულებას და უკვე ორი დრაკონი ეხვევა მათ გარშემო. საოცარი შეთანხმებულობა, ვირტუოზული ტექნიკა ეხმარება მაყურებლისათვის თითქმის უხილავ მსახიობებს შექმნან დრაკონების მხიარული თამაშის სრული ილუზია. თავიანთი წარმოდგენა ამ ზღაპრულ არსებაზე, რომელიც ჩინეთში მიაჩნიათ ძლიერებისა და ბედნიერების განსახიერებად, გადმოსცეს თავიანთ სრულიად არაჩვეულებრივ „დრაკონის ცეკვაში“ ჩინეთის ახალგაზრდა ანსამბლის მონაწილეებმა ლი დაძენის ხელმძღვანელობით.

ეროვნული იყო ეგვიპტელი ნაიმა აკეფის ცეკვაც, ბასკების (საფრანგეთი) გუნდის მკაცრი უბრალოებაც.

მაგრამ არის ხელოვნების საგანძური, რომელიც ერთნაირად ნაცნობია ყველასათვის და მუდამ ახარებს მსმენელს. ასე შეხვდნენ მაყურებლები იგორის არიას ბოროდინის ოპერიდან „თავადი იგორი“, რომელიც ახალგაზრდა რუმინელმა მომღერალმა კონია ლადისლავმა შეასრულა, გერმანიის ბალეტის სოლისტებს ურსულა ჰაინრიხს, და გერჰარდტ პეტკოლს, რომლებმაც იცეკვეს შოპენის მუსიკაზე, იაპონიის ბალერინა კაორი ისიის, რომელმაც შეასრულა გრიგის „ანიტრას ცეკვა“.

ყველაფერი ახარებდა ამ საღამოს მაყურებელს — ჩიო-ჩიო-სანის მონოლოგიც, რომელიც შეასრულა იაპონელმა ტაკიძავა მიეკომ, ადაეიომაც ბალეტიდან „თქმულება ქვის ყვავილისა“, რომელიც ლენინგრადელებმა ალა ოსიპენკომ და ალექსანდრე გრიბოვმა აჩვენეს.

მხურვალედ შეხვდნენ მაყურებლები პეგი ფიგერსა და გიო კეროვენს (ამერიკის შეერთებული შტატები), რომლებმაც შეასრულეს ამერიკული ხალხური სიმღერები. განსაკუთრებით მოეწონათ მაყურებლებს მათ მიერ რუსულ ენაზე შესრულებული სიმღერა.

დამთავრდა კონცერტი. ტაშის გრიალით შეხვდნენ ახალგაზრდა ლაურეატებს დარბაზში შეკრებილი მოსკოველები, ფესტივალის დელეგატები და საპატიო სტუმრები, მეგობრები და ხელოვნების თანამოძმენი.

კონცერტზე იყვნენ ამხანაგები მ. ა. სუსლოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი.

დიდ თეატრში იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და საელჩოთა თანამშრომლები.

ფესტივალის ლაურეატთა საუცხოო კონცერტმა შესანიშნავად დაადასტურა ახალგაზრდობის ნაჭი, მისი სურვილი შემოქმედებით დაეხმაროს მშვიდობის კეთილშობილურ საქმეს.

10 აგვისტო. (საკდესი).

საქართველოს ახალგაზრდობის საფესტივალო კონცერტი

„ძვირფასო მეგობარო! 1957 წლის 8 აგვისტოს 20 საათსა და 30 წუთზე საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის შენობაში შედგება საქართველოს სსრ დელეგაციის საზეიმო კონცერტი. გთხოვთ დაესწროთ.

საორგანიზაციო კომიტეტი“.

ბილეთები ასეთი ტექსტით დაურიგდათ მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს. დადგა ეს საღამოც. ფარდა აიხადა. დარბაზში გაისმა მეგობრული ტაში. მაყურებლები მიესალმებოდნენ სცენაზე მყოფ აპარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის და მახარაძის კულტურის სახლის ანსამბლებს.

„ჰრიჭინადან“. კიდევ უფრო დიდი წარმატებით იმღერა როსინის „ტარანტელა“.

სრულდება ცეკვა „ფარიკაობა“. საკავშირო ფესტივალის კონკურსის ლაურეატი, — ლენინური კომკავშირის სახელობის ანსამბლი საუკეთესოდ გამოვიდა.

დარბაზმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა საკავშირო ფესტივალის კონკურსის ლაურეატი — ტრიო გოძიაშვილის, მაკარიძისა და დათუაშვილის შემადგენლობით. დიდი გემოვნებით იქნა შესრულებული სიმღერები „წყალერი და თბილისი“, „ია“ და მექსიკური ხალხური სიმღერა „ვინ არის“.

ტრიო შეცვალა საკავშირო ფესტივალის კონკურსის ლაურეატმა ნოდარ ანდღულაძემ. კონფერანსიე აცხადებს, რომ დარბაზში იმყოფება რესპუბლიკის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი დ. გამრეკელი, და სთხოვს მას მიიღოს მონაწილეობა კონცერტში. ცნობილი მსახიობი თანხმდება და გადის სცენაზე. ანდღულაძემ და გამრეკელმა დიდი წარმატებით შეასრულეს დუეტი ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“.

დარბაზი გულთბილად შეხვდა საკავშირო ფესტივალის კონკურსის ოქროს მედალოსან ვოკალურ ჯგუფს „შვიდკაცას“. პირველად შესრულებულ იქნა სიმღერა „ჩელო“, შემდეგ — „სიყვარული არ იქნება ძალადა“. როცა მომღერლებმა მსმენელთა თხოვნით შეასრულეს „ხასანბეგურა“, დარბაზმა ისინი ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა.

შემდეგ ლენინური კომკავშირის სახელობის ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფმა შეასრულა ცეკვა „ხორუმი“. ამით დამთავრდა კონცერტის პირველი განყოფილება. კონცერტში მონაწილენი ჩამოვიდნენ ქალთებით დარბაზში და სტუმრებს ხილით უმასპინძლდებოდნენ.

კონცერტის მეორე განყოფილება დაიწყო სახელმწიფო ორკესტრის „რეროსა“ და საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაერთიანებული ორკესტრის გამოსვლით. ორკესტრს ხელმძღვანელობდა ა. ტულუში.

„რეროს“ ორკესტრის სოლისტმა ნ. დუმბაძემ ესპანელი ქალიშვილის სიმღერა შეასრულა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვოკალურმა კვარტეტმა შეასრულა გ. ცაბაძის „მოთხილამურეთა სიმღერა“ და ხალხური სიმღერის „დაჩქარეს“ იმპროვიზაცია. „რეროს“ ორკესტრის სოლისტმა ლ. გეგელიამ შეასრულა ძველებური რომანსი „როცა აინთებიან ჩირაღდნები“ და პეგზერის „გაზაფხულის ბრალია“.

სცენაზე გამოდის „რეროს“ სოლისტი ზ. რცხილაძე. იგი მღერის ყანჩაველის სიმღერას „უცნაური ქალიშვილი“ და მექსიკურ ხალხურ სიმღერა „ჩიკიტას“.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სოლისტმა ნ. ბრეგვაძემ დიდი ოსტატობითა და გრძნობით შეასრულა სიმღერა „ჩავაქრე სანთელი“. მსმენელთა დაჟინებითი მოთხოვნით მან ეს სიმღერა ორჯერ გაიმეორა. მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს მსმენელებმა „რეროს“ სოლისტი ვ. კარჩი. ამის შემდეგ სცენაზე გამოდიან თბილისელი მსახიობები.

იწყება საკარნავალო სანახაობა, რომელიც დადგმულია ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილის“ მოტივების მიხედვით.

სანახაობის დასასრულს სცენაზე გამოდიან კონცერტის სხვა მონაწილეებიც. მაყურებლები კვლავ მქუხარე ტაშით აჯილდოებენ ქართულ ცეცხლოვან, ელვისებურ ცეკვებს.

კონცერტის მონაწილენი მიესალმებიან მოსკოვს, რომელმაც საქართველოს ახალგაზრდობა აქ ჩამოიყვანა და წარმოთქვამენ — „სიყვარულს, მეგობრობისა და მშვიდობის სიმღერა ისმოდეს მთელ მსოფლიოში!“.

ამ დროს დარბაზში ეშვება დროშა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ემბლემით. ქუხს ტაში.

მძლავრად გაისმის დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი, სიმღერა, რომელიც პოპულარულია მთელ მსოფლიოში.

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

III საერთაშორისო მეგობრული ასპარეზობა

მ ო ს კ ო ვ ი. 10 აგვისტო. (ტელეფონით). დამთავრდა შეჯიბრება ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, ძალოსნობასა და სპორტის სხვა სახეობებში. გამოვლინდა ძალოსნობის ახალი ჩემპიონები.

ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის გუნდების შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ფრენბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 3:2. აძრიგად, სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა კოლექტივები III საერთაშორისო მეგობრული ასპარეზობის ჩემპიონები გახდნენ და ოქროს მედლები მოიპოვეს.

დამთავრდა შეჯიბრება კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. როგორც ვიწუნუებოდით, I ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა უნგრეთის სპორტსმენთა კოლექტივმა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. II ადგილი მოიპოვეს სსრ კავშირის კალათბურთელებმა. გამოვლინდა ახალი ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში. საბჭოთა სპორტსმენებმა 3 ოქროს მედალი მოიპოვეს, ბულგარელებმა და იაპონელებმა — 2-2, უნგრელებმა — 1. სულ საბჭოთა სპორტსმენებმა 9 საპრიზო ადგილი დაიკავეს. ჩემპიონები გახდნენ: სინიავსკი, დადაშევი და ალბული. საქართველოს წარმომადგენლებმა გადამწყვეტი შეხვედრები შეადარებით სუსტად ჩაატარეს. მჭედლიშვილმა, არსენიანმა და გობეჯიშვილმა II-III-V ადგილები დაიკავეს.

გუშინ გაიმართა შეხვედრა ფეხბურთში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ეს იყო III-IV ადგილებისათვის ბრძოლა. ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 3:2 და III ადგილი დაიკავეს.

საფესტივალო სპორტული ასპარეზობის საზეიმო დახურვა მოეწყო მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე. დახურვის ცერემონიალს წინ უძღოდა სხვადასხვა შეხვედრები და ფინალური მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „ლოკომოტივის“ სასპორტო კლუბსა და ავღანეთის გუნდებს შორის. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ კალოევმა საპასუხო ბურთი გაიტანა. ასპარეზობა დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 5:2.

ამის შემდეგ სტადიონის სარბენ ბილიკებზე გამოჩნდა მედროშეთა დიდი კოლონა. მათ უკან მოჰყვებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის სპორტული დელეგაციები. ისინი ხელიხელგადახვეულნი მოდიოდნენ ერთად, უმღეროდნენ მშვიდობასა და მეგობრობას. ალმი დაუშვეს. სპორტსმენებმა მწყობრი ნაბიჯით შემოუარეს სტადიონს. მათ მიაცილებდა დედაქალაქის ასეულ ათასობით მშრომელთა ერთსულოვანი ტაში.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

★



ახალგაზრდობის III საერთაშორისო სპორტული ასპარეზობა. შეჯიბრება ტანვარჯიშში. სურათზე: ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, ამჟამად სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ვ. ჩუკარინი პრიზით, რომლითაც დაჯილდოებულია პირველ ადგილზე გამოსული სსრ კავშირის გუნდი.

ფოტო ნ. ნაუმენკოსი და ლ. დორონსკისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ფესტივალის დელეგატები პატივს სცემენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ხსოვნას

განუწყვეტელ ნაკადად მოდიან ამ დღეებში წითელ მოედანზე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის მონაწილეები. ბევრი ქვეყნის ქალიშვილები და ჰაბუკები მოდიან კრემლის კედლებთან, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმთან.

8 აგვისტოს დღისით წითელ მოედანზე შეიკრიბნენ სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები, რომლებმაც მავზოლეუმის ნახვა მოისურვეს. მავზოლეუმთან პირველი მიდის ვიეტნამის ახალგაზრდობის დიდი ჯგუფი. ბევრი მათგანის მკერდზე ბრწყინავს საბრძოლო ორდენები — უცხოელ დამმონებელთაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის ნიშანი.

ცოცხალ ყვავილთა გვირგვინების ლენტებზე წარწერილია: „ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს ვიეტნამის დელეგაციისაგან“. გვირგვინები მოაქვთ აგრეთვე სირიის, ბულგარეთის, განის, ისრაელის, მონღოლეთის, ინდონეზიის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს.

წითელ მოედანზე მწყობრი რიგებით შემოდიან საფრანგეთის ქალიშვილები და ჰაბუკები, სულ 700-მდე კაცი.

ორ ჰაბუკს კონსტან-ციტუგლოუს და მიშელ კონპერონს, რომლებსაც თეთრი ბლუზები აცვიათ და წითელი ჰალსტუხები უკეთიათ, ფრთხილად მოაქვს უზარმაზარი გვირგვინი. „უდიდესი პატივისცემის ნიშნად საფრანგეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირისაგან“, — რუსულ და ფრანგულ ენებზე წარწერილია ლენტებზე. სამი პარიზელი მეგობარი ელენოვი, ივეტ სონსონი და როლანდ ლეონი მავზოლეუმს ამკობენ გვირგვინით საფრანგეთის ქალიშვილთა კავშირისაგან. მავზოლეუმს უახლოვდება ახალგაზრდა ფრანგთა ახალი ჯგუფი. ხრისტიანონ სინიორს, ანდე სენიასა და ჟან ლა-ბედელს მოაქვთ გვირგვინი საფრანგეთის სტუდენტთა კომუნისტური კავშირისაგან.

გეიანობამდე მოდიოდნენ ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმის სანახავად. ამ დღეს აქ იყვნენ ჰოლანდიის, პოლონეთის, ავსტრალიის, ინდოეთის, გერმანიის, ბელგიის, ლიბანის, კანადის, ნორვეგიის, ისლანდიისა და ბევრი სხვა ქვეყნის ქალიშვილები და ჰაბუკები. (საკდესი).

ფესტივალის ქრონიკა

დამთავრდა დისკუსია ფესტივალის მონაწილე ახალგაზრდა მეფეხსაცმელეებსა და ტყავფეხსაცმლის საწარმოთა მუშაკებს შორის. მიღებულია მიმართვა ყველა ქვეყნის ახალგაზრდა მშრომელებისადმი, რომლებიც ტყავ-ფეხსაცმლის მრეწველობაში მუშაობენ.

— ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, — ნათქვამია მიმართვაში, — რომ ამჟამად ახალგაზრდობის მთავარი ამოცანაა მშვიდობის შენარჩუნება. ამისათვის საჭიროა გავაერთიანოთ ჩვენი ძალები საწარმოებში, ეროვნულ და საერთაშორისო მოძრაობაში. ახალგაზრდობამ უნდა მოითხოვოს გამალებული შეიარაღებისა და ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტა.

• • •

ბიოლოგიური მეცნიერების განვითარების პრობლემები განხილულ იქნა 9 აგვისტოს ბიოლოგ სტუდენტთა საერთაშორისო შეხვედრაზე. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს კვლევითი მუშაობის გამოცდილება მცენარეთა და ცხოველთა ფიზიოლოგიის, მემკვიდრეობითობის თეორიისა და სხვა დარგებში.

• • •

ორმოცამდე ქვეყანა იყო წარმოდგენილი 9 აგვისტოს გეოლოგ სტუდენტთა საერთაშორისო შეხვედრაზე. შეხვედრის მონაწილენი გაეცნენ სწავლების დაყენებას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე, იყვნენ ლაბორატორიებში, დაათვალიერეს მიწათმცოდნეობის მუზეუმის ექსპონატები. (საკდესი).

10 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა გამოჩენილი ინგლისელი პროგრესული მწერალი, ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ჯეიმს ოლდრიჯი მეუღლითა და შვილებითურთ. იგი შვებულებას ატარებს გაგრაში.

ნიჭიერი ლიტერატორისა და მშვიდობისათვის მებრძოლი ოლდრიჯის საზელი დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა ადამიანებში. ჩვენს ქვეყანაში მასობრივი ტირაჟებით გამოცემულია მისი ნაწარმოებნი „დიპლომატი“, „ღირსების საქმე“, „ზღვის არწივი“, „ორმოცდამეცხრე შტატი“ და სხვები, რომლებიც მოუწოდებენ მშვიდობისათვის, კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლისაკენ.

ახლა მწერალი მუშაობს რომანის მეორე ტომზე, რომელშიც მოთხრობილია ეგვიპტელი ხალხის ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის. ამ ნაწარმოების პირველი ტომი უკვე თარგმნილია რუსულ ენაზე და მალე დაიბეჭდება ჟურნალ „ინოსტრანნაია ლიტერატურაში“.

თბილისის ვაგზალში ჯეიმს ოლდრიჯს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. შემხვედრთა შორის იყვნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანები ი. აბაშიძე და ს. ჯილაია, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ყენტი, ჟურნალისტები.

ჩამოსვლის დღეს ჯეიმს ოლდრიჯი, მისი მეუღლე და შვილები ეცნობოდნენ თბილისს. საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მათ დათვალიერეს ძველი ქართული ხელოვნების ნაწარმოებნი. სტუმრები იყვნენ აგრეთვე საგარეუბნო კურორტ წყნეთში. (საქდესი).

სურათზე: მწერალი ჯეიმს ოლდრიჯი თბილისის სადგურზე.

ფოტო ი. ბეჟაშვილისა.

ახალი ავტოსატრანსპორტო კანტორა

გ ე ო ბ ე ჭ კ ო რ ი. (საკ. კორ.). რამდენიმე თვეა აქ ჩამოყალიბდა ავტოსატრანსპორტო კანტორა. ჯერჯერობით ავტოპარკში ირიცხება 15 ავტომანქანა, მათ შორის 1 ავტობუსი და 2 მსუბუქი ტაქსი. დიდი მუშაობაა გაწეული კანტორის ტერიტორიის კეთილმოსაწყობად. აგებულია სამქროდლო და საველანიზაციო სამქროს შენობა, საწყობი და სხვ.

დაარსებიდან გასულ სამ თვეში კანტორის მანქანებმა 10.836 ტონის ნაცვლად გადაზიდეს 13.032 ტონა ტვირთი, გადაიყვანეს 9 ათასამდე მგზავრი. ბჯენითი შრომით თავი გამოიჩინეს მოწინავე მძღოლებმა ა. გაგუამ, ტ. კაკურავამ, ზ. სხულუხიამ, მექანიკოსმა ლ. ესაკიამ და სხვ.

სასოფლო კლუბები

ბოლნისის რაიონში ყოველწლიურად ფართოვდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. წელს სოფელ არახლოში დამთავრდა სასოფლო კლუბის ახალი შენობა. კლუბი ლამაზად არის გაფორმებული, მისი დარბაზი გათვალისწინებულია 350 კაცისათვის. აქ მოწყობილია კინოდანადგარი, რომელიც ყოველდღიურად მომსახურებას უწევს არახლოსა და სოფელ კოლაგირის მოსახლეობას. („კომუნისტის“ კორ.).

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დღეს თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, **ამირანი** (საზაფხულო), **ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, კომუნარების ბაღი** — ჩემი საწყალი საყვარელი დედა, **ამირანი** (საზამთრო) — დონ კიხოტი, **ოქტომბერი, სპარტაკი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — პოდგოლიე ცეცხლში, **ისანი** (საზაფხულო) — ბრძოლა ველზე, **კომკავშირელი, საქართველო** (მწვანე დარბაზი) — კვალი რჩება, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **დიდუბე** (საზაფხულო) — ღრუბლების გედისებრ გუნდს იქით, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ციცაბო საფეხურები, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ბალერინას ბედი, **კოლხიდა** (საზამთრო) — მას უყვარხართ, **ოფიცერთა სახლი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ამბავი პირველი სიყვარულისა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ანა კისერზე, **ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — თოლიები კვდებიან ნავსადგურში, **კოლმეურნე** — ქეთო და კოტე.

მოქალაქე **ფრიდრიხ ამბაკოს-ძე ჯოჯუამ,** მცხოვრებმა ქ. თბილისში, ვახუშტის ქ. № 63, აღძრა საქმე ქ. ხაპალაულში, პანფილოვის ქ. № 2/83 მცხოვრებ მოქალაქე **ზინაიდა ნიკიტას ასულ ჯოჯუასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლო.

ტელეგადაცემათა პროგრამა
11 აგვისტოსათვის

(დღის)

15.00 — სატელევიზიო ჟურნალი — „საქართველოს პიონერი“ № 13 (ჟურნალი მიძღვნილია მსოფლიოს ახალგაზრდობის მე-6 ფესტივალისადმი), 15.30 — მხატვრული ფილმი „ტრუბაჩოვის რაზმი იბრძვის“, 17.00 — მომავალი კვირის საბავშვო გადაცემათა პროგრამა.

(საღამოს)

20.00 — გადაცემა, მიძღვნილი მშენებლის დღისადმი, 20.15 — საფესტივალო კინოჟურნალი, 20.25 — მხატვრული ფილმი „ციცაბო საფეხურები“.

გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „Дружба“-ზე — ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ორგანოზე. გაზეთი გამოდის რუსულ ენაზე პეკინში.

გაზეთი გათვალისწინებულია მასობრივი მკითხველისათვის.

ხელმოწერის ფასი თვეში 5 მანეთი.

ხელმოწერა მიიღება განუსაზღვრელად **კავშირგაბმულობის ყველა კანტორაში, განყოფილებებში,** აგრეთვე **„სოიუზპეჩატის“** ყველა განყოფილებაში.

„სოიუზპეჩატი“.

ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილების გამგის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის

გიორგი ნიკოლოზის-ძე ურუშაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VIII, სოფ. მაჩხვარეთში (ლანჩხუთის რ.).

მეუღლე ვარდო, შვილები მარუსია, გიორგი, ვიქტორ, კონსტანტინე, ლეონიდე, რძლები მარუსია, ალექსანდრა, თინა, ნუნუ, სიძე ვ. ღვინჯილია ოჯახებით იუწყებიან

ვასილ ნიკოს-ძე ქვარცხავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-VIII ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ბინიდან, გორკის ქ. № 12.

მეუღლე ეფროსინე, შვილები ალიოშა, იულია, ვლადიმერ, რძლები, ტ. ჭარტურაია, მ. გვარამაძე, სი